



## წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი

16 ივლისი-3 სექტემბერი 2012

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 16 ივლისიდან - 3 სექტემბრის ჩათვლით 12 საინფორმაციო პორტალის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ვებ-გვერდები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით საარჩევნო სუბიექტებთან დაკავშირებით. მაგ. მაჟორიტარების წარდგენა, წინასაარჩევნო შეხვედრები, ცესკოს ინიციატივები, არასამთავრობოთა აქტივობები არჩევნებთან დაკავშირებით.
- გვხვდება როგორც მოკლე, საინფორმაციო სახის სტატიები, ასევე შედარებით ვრცელი, ანალიტიკური სახის წერილები. სტატიები წარმოადგენს ახალი ამბების მიმოხილვას, რასაც ერთვის ჟურნალისტისა და რესპონდენტთა კომენტარები.
- ჟურნალისტები ცდილობენ, მოვლენა თუ საკითხი სხვადასხვა მხრიდან დაგვანახონ, ხშირად გვთავაზობენ პოლიტიკოსთა მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მასალაში მეტწილად ვხვდებით რამდენიმე წყაროს, ექსპერტების შეფასებებს.
- თითოეული ვებგვერდის მასალების მონაცემების მიხედვით პირველ სამ სუბიექტს შორის გვევლინება „ქართულ ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და მთავრობა (გაერთიანებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა აქტივობებიც) მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით.
- ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი მოცულობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეთმობა. დანარჩენი ოპოზიციური პარტიები მკვეთრად ჩამორჩებიან

გაშუქების კუთხით. ამ მხრივ ლიდერობენ მხოლოდ “ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეები“.

- პოლიტიკური სუბიექტები შუქდება ძირითადად ნეიტრალური ტონით. თუმცა, არის პოზიტიური და ნეგატიური გაშუქების შემთხვევებიც.
- ნეიტრალური გაშუქების კუთხით ლიდერობენ **netgazeti.ge**, **liberali.ge**, **civil.ge**, **palitratv.ge** -, **dfwatch.net** და **tabula.ge**. თუმცა, ამავე საიტებზე ვხვდებით პოზიტიურ ტონს როგორც მმართველი პარტიის, ასევე კოალიცია ქართლი ოცნების მიმართ. გამონაკლისია **liberali.ge**, სადაც 100% ნეიტრალური ტონი გვხვდება ორივე პარტიის მიმართ, თუმცა ხელისუფლების გაშუქებისას ნეიტრალურთან ერთად ნეგატიური ტონიც დაფიქსირდა.
- პირველ („ქართული ოცნება“) და მეორე სუბიექტს ( მმართველი პარტია) შორის ყველაზე დიდი პროცენტული სხვაობა გამოიკვეთა ორ ვებგვერდზე (**droni. ge**, **pressa.ge**). კოალიცია “ ქართული ოცნება“ ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გაშუქდა, მთავრობა და მმართველი პარტია პოზიტიური ტონით გაშუქდა.
- რამდენიმე ვებგვერდი განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩევა როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ და მისი ლიდერების მიმართ (**droni. ge**, **pressa.ge**), ასევე, მმართველი პარტიის და ხელისუფლების მიმართ (**for.ge**, **tribuna.ge**). ამ საიტებზე დაფიქსირდა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენება, ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფციის და მედიასტანდარტის (გადაუმოწმებელი ფაქტების, მიკერძოებული და ერთგვაროვანი მასალების მიზანმიმართული გაშუქება) დარღვევის რამდენიმე ფაქტი.
- ფაქტების სიზუსტე, რამდენიმე წყაროსთან გადამოწმება, განსხვავებული მოსაზრებების დაფიქსირება, ბალანსის და ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვა პრიორიტულია **netgazeti.ge-ს**, **liberali.ge-ს**, **civil.ge-ს**, **palitratv.ge -ს** , **dfwatch.net -ის** და **tabula.ge-ს** ჟურნალისტებისათვის.
- ილუსტრაციების მონიტორინგის თვალსაზრისით, აღსანიშნავია რამდენიმე საიტი, რომელიც ხშირად იყენებს ფოტომონტაჟს, კარიკატურას და ნეგატიური ტონის ფოტოებს კომენტარებით. ესენია: **droni.ge**, **pressa.ge**, **for.ge**. დანარჩენ საიტებზე ძირითადად ნეიტრალური განწყობის ფოტოებს ვხვდებით.

## მეთოდოლოგია და ანალიზი

მოცემული ანგარიში მოიცავს 16 ივლისიდან 3 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს. საინფორმაციო ვებ-საიტების წინასაარჩევნო მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტისთვის დათმობილი დრო და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, სტატიების სათაურებისა და თანდართული ვიზუალური მასალის შეფასება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის პერიოდში თითოეულ ვებ-საიტზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც ტექსტის გარკვეული მოცულობა მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ ვებ-საიტზე კატეგორია „სხვაში“ გაერთიანებულია ის სუბიექტები, რომლებსაც ამ ვებ-საიტზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როდესაც მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა, იქვე ხდება მისი ტონის შეფასებაც. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ ვებ-საიტზე სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტზე საუბრის ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ ვებ-საიტზე სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა მთლიანად და ცალკე ჟურნალისტის მიერ ამ სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს, ანუ რამდენად არის სტატიებში წარმოდგენილი საკითხის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლად მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სტატიაში გამოყენებული მასალები, არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში.

*netgazeti.ge-ზე თითქმის თანაბარი ინტენსივობით შუქდება როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები. ამ საიტზე განთავსებულია, ძირითადად, ანალიტიკური ხასიათის სტატიები, გვხვდება, აგრეთვე, ნიუსები, პრესრელიზები. ახალი ამბების მიმოხილვას უმეტეს შემთხვევაში ერთვის ჟურნალისტიკა და რესპონდენტის კომენტარები. ვებ-გვერდზე მიმოხილულია ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური შეხედულებები, საარჩევნო პროგრამა. უმრავლეს სტატიაში მოვლენები სიღრმისეულად არის გაშუქებული. მიუხედავად, ჟურნალისტების კრიტიკული შეფასებებისა, არაეთიკური გამონათქვამები არსად არ გვხვდება, ჟურნალისტური სტანდარტები ამ მხრივ დაცულია.*

რაოდენობრივი მონაცემები მოცულობის (სიტყვების რაოდენობა) მიხედვით ოპოზიციურ და სახელისუფლებო სუბიექტებს (პრეზიდენტი, ხელისუფლება, პარლამენტი, მმართველი პარტია) შორის თითქმის თანაბრად გადანაწილდა, თუმცა, ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე მეტი მოცულობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეთმობა. მასზე მთლიანი ფართობის 31% მოდის. მის მომდევნო სუბიექტს „გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ 14% დაეთმო, ხელისუფლებას - 10%, მთავრობას 4%, პრეზიდენტს კი - 2%. ოპოზიციურ პარტიებს შორის პროცენტული მაჩვენებლების ასეთი სურათი გვაქვს: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ - 4%, „ახალი მემარჯვენეები“ - 3%, „ქართული დასი“ - 1%.

ტონის მიხედვით მასალის შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო, ძირითადად, ნეიტრალური ტონით (59%) გაშუქდა, თუმცა, მის მიმართ გვხვდება ნეგატიური (17%) და პოზიტიური (24%) ტონიც. „ნაციონალური მოძრაობა“, ძირითადად, ნეგატიური ტონით გაშუქდა (41%), თუმცა, მის მიმართ ფიქსირდება ნეიტრალური ტონიც (46%) და პოზიტიურიც (12%). ხელისუფლების მიმართ აშკარად ჭარბობს ნეგატიური ტონი - 67%, უმნიშვნელო პროცენტული მაჩვენებლებია პოზიტიურისა (7%) და ნეიტრალური ტონის - 26%. ოპოზიციური პარტიები ძირითადად ნეიტრალური ტონით შუქდება.

ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფით აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიმართ ნეიტრალური ტონის მნიშვნელოვანი წილი თავად ჟურნალისტზე მოდის. საკუთრივ „ნაციონალური მოძრაობა“ ჟურნალისტების მიერ უმეტესწილად (84%) ნეიტრალური ტონით შუქდება, ნეგატიური ტონის მაჩვენებელი

კი 16% -ია. ოპოზიციურ პარტიებს ჟურნალისტები თითქმის მთლიანად ნეიტრალური ტონით აშუქებენ: კოალიცია “ქართული ოცნება” - 90% „ქრისტიან-დემოკრატები“ - 82%, თავისუფალი საქართველო - 69%.

**netgazeti.ge-ს** სტატიები დასათაურებულა მოკლედ და ზუსტად. სათაურები ინფორმაციული ხასიათისაა და ადეკვატურად გადმოსცემს სტატიის ძირითად აზრს. მაგ: “პარტიების შემომწირველების ქონების იძულებითი რეალიზაცია” (3 აგვისტო), “სტუდენტები პოლიტიკაში” (22 აგვისტო).

ვებ-გვერდზე სტატიებისთვის ვიზუალური მასალა, ძირითადად, ზუსტად არის შერჩეული. თითქმის არ გვხვდება ნეგატიური ტენდენციის მიმანიშნებელი ფოტოები. თუმცა გამოწვევისაა 24 ივლისის სტატია - „საქართველოს მთავრობამ აშშ-ში ლობისტები 330 ათას დოლარად დაიქირავა“, რომელსაც ახლავს ივანიშვილისა და სააკაშვილის ფოტო (ფოტომონტაჟი) ამერიკული დოლარების ფონზე. სტატიაში საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების ლობისტურ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, როგორც საქართველოს უშიშროების საბჭოს (მდივანი გიგა ბოკერია), ისე - ბიძინა ივანიშვილის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, სტატია დაბალანსებულია, თუმცა, სათაურში მხოლოდ საქართველოს მთავრობაა გამოტანილი, ხოლო დოლარებში ჩაფლული პოლიტიკოსების ფოტომონტაჟი ვებ-გვერდისთვის გამოწვევისად ითვლება (24 ივლისი).

**netgazeti.ge-ს** სტატიები წყაროების რაოდენობის კუთხით ძირითადად დაბალანსებულია. ვებ-გვერდის ჟურნალისტები სხვადასხვა კუთხით გვთავაზობენ ამა თუ იმ საკითხს. მკითხველს აქვს საშუალება, ობიექტურად შეაფასოს განხილული მოვლენა. მაგალითად, სტატიაში „რა შედეგი მოაქვს პოლიტიკური ლიდერების ანტისარეკლამო ვიდეორგოლებს“ (28 აგვისტო) საუბარია პოლიტიკური ლიდერების, საარჩევნო სუბიექტების ანტირეკლამაზე. განხილულია ივანიშვილისა და სააკაშვილის საწინააღმდეგო ვიდეორგოლები. ვეცნობით ორივე მხარის ვიდეორგოლების ავტორთა მოსაზრებებს. დასკვნით ნაწილში ავტორი გვთავაზობს კვალიფიციური ექსპერტის შეფასებას: „მსგავსი ვიდეორგოლები პროპაგანდისტული ტექნიკის ნაწილია... ამგვარი ვიდეორგოლების ტირაჟირებით უმთავრესად დამარცხებული რჩება საზოგადოება, რომელიც კიდევ უფრო მართული ხდება, რაც მიანიშნებს საზოგადოების მოუმწიფებლობასა და სამოქალაქო საზოგადოების არარსებობაზე“ (28 აგვისტო). სხვა სტატიებშიც ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტების შეფასებებს დასკვნის სახით.

საიტზე სტატიებში შემოთავაზებული ინფორმაცია გადამოწმებულია რამდენიმე წყაროსთან. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გამოიკვეთა, როდესაც ჟურნალისტმა ვერ მოიპოვა ოფიციალური სტრუქტურების ან პოლიტიკური სუბიექტების კომენტარი.

ჟურნალისტის მსჯელობა არგუმენტირებულია და გამყარებულია ფაქტებით. სტატიას ხშირად ახლავს ჟურნალისტის დასკვნაც, რომელიც გამომდინარეობს სტატიაში მოყვანილი ფაქტებით და მსჯელობებით.

საიტის თემატიკა მრავალფეროვანია, მკითხველს გაშუქებული საკითხების მიმართ ინფორმაცია ამომწურავად მიეწოდება. თითქმის თანაბარი ინტენსივობით შუქდება როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციური პარტიების აქტივობები. მკითხველს საშუალება აქვს, შეაფასოს აქ განხილული მოვლენები თავისი შეხედულებისამებრ. უმრავლეს სტატიაში იგრძნობა ავტორთა კრიტიკული დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ჟურნალისტის ენა ზომიერად კრიტიკული და კორექტულია, არსად გვხვდება, დისკრიმინაციული ტერმინოლოგია და ფრაზები.

## **droni. ge**

*droni. ge-ზე საკვლევი მასალა ძალზე მწირია, თემატიკა ერთფეროვანია. სტატიები მხოლოდ ერთ საარჩევნო სუბიექტს ეძღვნება. სტატიები დაბალანსებული არ არის, დასკვნები ფაქტებით არ არის გამყარებული. ხშირად დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.*

ყველაზე მეტი მოცულობა (სიტყვების რაოდენობა) ეთმობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ – 95%, მთავრობას - 3%, პრეზიდენტს - 2%. „ქართული ოცნების“ გარდა სხვა ოპოზიციური პარტიების შესახებ ინფორმაცია არ გვხვდება.

ტონის მიხედვით მასალის შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო, ძირითადად, ნეგატიური ტონით გაშუქდა - 97%. მის მიმართ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ფიქსირდება ნეიტრალური ტონი - 3%.

თუ ჟურნალისტის ტონს ცალკე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ ნეგატიური ტონი (98%) მთლიანად ჟურნალისტზე მოდის, ხოლო ნეიტრალური ტონი - 2%.

საიტის თემატიკა არის ერთფეროვანი, ეხება ძირითადად ივანიშვილის პერსონის ან კოალიციის ლიდერების განხილვას. მათ კრიტიკას, წარსული პოლიტიკურ ნაბიჯების შეფასებებს. არც ერთი სტატია არ გაშუქდა რომელიმე ოპოზიციური პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის და არც „ნაციონალურ მოძრაობის“ შესახებ. სტატიები საკმაოდ ვრცელია (600-700-სიტყვიანი). ფაქტებით გამყარებული არ არის, ფაქტის და კომენტარის გამიჯვნა არხდება, მოსაზრებები და დასკვნები ჟურნალისტების მხრიდან მიკერძოებულია.

სათაურები შეიცავს ნეგატიურ ტონს და არაკორექტულ გამონათქვამებსაც: (19 ივლისი) – „გელაშვილმა გვითხრა, აფხაზეთის ომში რას მიდიოდით, თუ გიჟები არ იყავითო“; (30 ივლისი) – „როგორ გააგდეს ბიძინა ივანიშვილი სვანებმა ბეჩოს სკოლის ეზოდან“; (5 აგვისტო) – „ივანიშვილი ბეშუმდინაც გააძევეს: ოლიგარქის თქმით, იქ „მარშრუტკით“ ხალხს ზიდავდნენ“; (11 აგვისტო) – „ივანიშვილი ჟურნალისტების შვილებს მომავლის გაფუჭებით ემუქრება“; (15 აგვისტო) – „კახი კალაძის მორიგი მარცხი სამტრედიისში“; (27 აგვისტო) - ივანიშვილმა მაჟორიტარობის კანდიდატად „კანონიერი ქურდის“ ძმა წარადგინა“...

სტატიებში ხშირად გვხვდება არაკორექტული კომენტარები ფოტოებზე, ფოტო მონტაჟი, ფოტო ძირითადად შეუსაბამოა სტატიის შინაარსთან: „კალაძე სამტრედიისში...“ (17 აგვისტო). იგივე შეიძლება ითქვას მეორე სტატიის ფოტოზეც: „ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? - მილიარდერს უკვე უცხოური მედიაც ამხელს“ (27 ივლისი) - შავ ფონზე დიდი ზომის კითხვის ნიშანში ჩასმულია ივანიშვილის ფოტო.

ამ ვებ-გვერდის სტატიები დაბალანსებული არ არის. ცალმხრივად არის მოწოდებული ინფორმაციები, ზოგჯერ ჟურნალისტის მიერ მოყვანილი ფაქტი საჭიროებს რამდენიმე წყაროსთან გადამოწმებას. მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი ფაქტების ავტორები ხშირად გვევლინებიან ანონიმური წყაროებად, სტატიის ავტორი ექვევემ არასდროს აყენებს მოყვანილ ფაქტებს. ხშირია ასეთი ფაქტების საფუძველზე ზოგადი მსჯელობებიც ჟურნალისტის მიერ. მაგ: „კახი კალაძის მორიგი მარცხი სამტრედიისში“ (15 აგვისტო). სამტრედიის რაიონის რამდენიმე სოფელში კახი კალაძესთან შესახვედრად ამომრჩევლები არ გამოსულან. ავტორი ასკვნის: „სამტრედიის სხვა მაცხოვრებლების მსგავსად ავტოგოლების მოყვარული კალაძის არც მათ სჯერა.

presa.ge-დან გადმოხეჭილი სტატია „ივანიშვილი ჟურნალისტების შვილებს მომავლის გაფუჭებით ემუქრება“. ჟურნალისტი გვთავაზობს ივანიშვილის მიერ ფოტოში წარმოთქმული სიტყვის საკუთარ ინტერპრეტაციას: „ან გადმოდიო ჩემთან და



მემსახურეთ მე და „ჩემს სიმართლეს“, ან იცოდეთ რა გემუქრებათ თქვენ და თქვენს შვილებს“; „თურმე, ნუ იტყვი, ჟურნალისტები, რომლების სასწრაფოდ არ გადაბარგდებიან ბიძინას ჯიბის მედია საშუალებებში, აღარ უნდა ელოდონ მშვიდ ცხოვრებას... ივანიშვილი ემუქრება ჟურნალისტების შვილების მომავალსაც“; „მას (ივანიშვილს) ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ აქვს... თუმცა, მისი ნება რომ იყოს, ყველას და ყველას შვილებს, ვინც არ დაემონა, წამებით ამოხდის სულს... იგი საოცრად დაემსგავსა პუტინს“ (11 აგვისტო).

ჟურნალისტის ხშირი არაზუსტი ინტერპრეტაციები ქმნის იმის თქმის საფუძველს, რომ მიზანმიმართულად ხდება მკითხველის შეცდომაში შეყვანა.

ზოგჯერ სტატიაში ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს- „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალურად დაიწყო ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო PR-კამპანია“ (8 აგვისტო) - იქ მცხოვრები მოსახლეობის ინფორმაციით. თუმცა, ინფორმაციის სანდოობა საეჭვოა, ვინაიდან არ ხდება არცერთ წყაროსთან მისი გადამოწმება.

ამ ვებ-გვერდზე წარმოდგენილი პირველივე სტატია ასეა დასათაურებული: „გელაშვილმა გვითხრა, აფხაზეთის ომში რას მიდიოდით, თუ გიჟები არ იყავითო“ (19 ივლისი) ასახულია ვალერი გელაშვილის შეხვედრა სოფელ ვაყაში. ამ დიალოგის ასე წარმოჩენა შეუსაბამოა მოყვანილ ფაქტებთან მიმართებაში. სტატია სრულდება „ქართული ოცნების“ სხვა დეპუტატობის კანდიდატთა ჩამონათვალთ, რასაც ერთვის სტატიის ავტორის დასკვნა: „როგორც იტყვიან, ფერი ფერს, ოცნება ოცნებას და მაღლი პუტინს“...

სტატიების ზოგად ნეგატიურ ტონს ამძიმებს არაეთიკური გამოთქმები: „მთავარი მეოცნებე“ (19 ივლისი), „დიდი ოლიგარქი“, „ფერი ფერს, ოცნება ოცნებას და მაღლი პუტინს“... (27 ივლისი) „ბიძინას რუსეთუმეობა“ (11 აგვისტო) – „მენტალობით რუსი ბორია ივანიშვილი“, „მოტირანო-მოდესპოტო ოლიგარქი“, „გარუსებული ჭორვილელი კაცუნა“, „პოტენციური ჯალათი“, „ავტოგოლების მოყვარული კალამე“ (15 აგვისტო) „ივანიშვილს საკუთარი გარემოცვა მაჟორიტარებად ისეთ პიროვნებებს ატენის, როგორც მათ აწყობთ“...(27 აგვისტო)

თვისებრივი ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებგვერდის ერთადერთი საარჩევნო სუბიექტი არის კოლიცია „ქართული ოცნება“, რომელსაც ძირითადად ნეგატიური კუთხით აშუქებენ. დაბალანსებული სტატიები არ გვხვდება, წყაროთა სანდოობაც ეჭვქვეშ დგება.

ჟურნალისტი არ ერიდება არაეთიკურ გამოთქმებს, დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას, შეურაცხმყოფელ ციტატებს. გვხვდება სხვა ვებ-საიტებიდან გადმობეჭდილი სტატიებიც, სადაც ასევე დაუბალანსებელია და არაარგუმენტირებულია მსჯელობა.

## internet.ge

*ვებ-გვერდზე დღეში საშუალოდ 10 მასალას განათავსებენ. მათ შორის ჭარბაზოს მოკლე საინფორმაციო შეტყობინებები, ოფიციალური სტრუქტურების პრეს რელიზები და მცირე ზომის სტატიები. იშვიათად გვხვდება ანალიტიკური ტიპის სტატია. ვებ გვერდი გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით საარჩევნო სუბიექტებთან დაკავშირებით. მაგ. მაჟორიტარების წარდგენა, წინასაარჩევნო შეხვედრები, ცესკოს ინიციატივები, არასამთავრობოთა აქტივობები არჩევნებთან დაკავშირებით.*

*ჟურნალისტის მიერ გამოყენებულია ძირითადად ნეიტრალური ტონი, თუმცა რამდენიმე გამონაკლისი იყო, ჟურნალისტის მიერ ქართული ოცნების ლიდერების მიმართ დაფიქსირდა ნეგატიური ტონი. აქციების და მოსახლეობასთან შეხვედრების გაშუქებისას.*

*ინფორმაციების შინაარსი დღის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს ეთმობა. შესაბამისად ინფორმაციები საკმაოდ მრავალფეროვანია, მასალაში უმეტესად გადმოცემულია ფაქტები და ჟურნალისტების შეფასებები პრაქტიკულად არცერთ მასალაში არ გვხვდება.*

რაოდენობრივი მონაცემები შეჯამების შედეგად ვებ-გვერდზე გამოიკვეთა 3 საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტი: „ნაციონალური მოძრაობა“ (26%), კოალიცია „ქართული ოცნება“ (25%) და „ახალი მემარჯვენეები“ (10%). დანარჩენი სუბიექტები წარმოდგენილია დაბალი პროცენტული მაჩვენებლით.

პოლიტიკური სუბიექტების ტონი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. სამივე ტონი გამოვლინდა მხოლოდ სამ სუბიექტთან: ნაციონალური მოძრაობა (ნეგატიური 4%, ნეიტრალური 93%, პოზიტიური 3%), ქართული ოცნება ( ნეგატიური 12%, ნეიტრალური 87%, პოზიტიური 2%), მთავრობა (ნეგატიური 75%, ნეიტრალური 21%, პოზიტიური 4%). დანარჩენი სუბიექტები მხოლოდ ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონში გვხვდება: „ახალი მემარჯვენეები“ 95%, ოპოზიცია 83%, მთავრობა 93%, პრეზიდენტი 96%.

ჟურნალისტის ტონის მიხედვით განსხვავებული მონაცემები მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის და „ქართული ოცნების“ მონაცემებს შორის გამოვლინდა: „ნაციონალური მოძრაობა“ (99% ნეიტრალური, 1 % პოზიტიური) და „ქართული ოცნება“ (6% ნეგატიური, 96 % ნეიტრალური). დანარჩენი სუბიექტები ნეიტრალურ ტონში გვხვდება.

მასალების სათაურები გამომდინარეობს ინფორმაციის შინაარსიდან, ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა. უმეტესად რესპონდენტების ციტატები გამოტანილია სათაურად. მაგ: „ქვეყნის აღმშენებლობის ტემპი არ უნდა დავარდეს“ - მიხეილ სააკაშვილი (22 აგვისტო), წარსულის დაბრუნებაზე ოცნება ყველაზე დიდი მავნებლობაა, რაც შეიძლება ოპოზიციამ შემოგვთავაზოს“ - ციტატის ავტორი გიგი უგულავა. (16 აგვისტო)

ილუსტრაციების მონიტორინგის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ყველა მასალას ახლავს ფოტო და არსად გვხვდება ნეგატიური ტონი. სტატიის ფოტოები უფრო დიდი ადგილს იკავებს, ვიდრე თავად ნიუსი. სხვადასხვა ინფორმაციას ხშირად ერთი და იგივე ფოტო ახლავს. ასევე, საიტის დიზაინი საკმაოდ განსხვავებულია. ვინაიდან ფოტო საკმაოდ დიდ მოცულობას იკავებს და სხვა საიტების სტატიების რეკლამებით და ბმულებით არის გადატვირთული. მაგ: აიტვი, პრესა.ჯი, დრონი. ჯი.

ბალანსის მხრივ ვებ-გვერდზე ხშირად გვხვდება ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებები, თუმცა სხვადასხვა მასალაში და არა ერთ სტატიაში. ხშირად განსხვავებული მოსაზრებები გვხვდება მეორე დღის მასალებში. გამოთქმულ მოსაზრებას ან შეფასებებს ყოველთვის ახლავს ავტორი. თუმცა, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, სადაც ჟურნალისტის ბრალდებებს არ მოჰყვა რესპონდენტის განმარტებები. მაგ: როგორც „ინტერნეტ-ჯი“ -სთვის გახდა ცნობილი, კალაძის დაცვის წევრებმა ადგილობრივებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს..

შეგახსენებთ, კახი კალაძე, რომელიც წარმოშობით სამტრედიის რაიონის სოფელ გომიდან არის, გომელებმა სოფლიდან გამოაძევეს. კალაძე სოფელში წინასაარჩევნო შეხვედრებს აწარმოებდა (17 აგვისტო) - კალაძე გომის შეხვედრიდან გააძევეს

მართალია, ინფორმაცია მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ერთი თვის თავზე. და ამიტომაც, ეს მასალა გამონაკლისად მივიჩნიეთ. მაგრამ მსგავსის ტიპის სტანდარტის დარღვევა შემდგომში საკმაოდ ხშირად გამოვლინდა საიტზე. განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ აქციის და შეხვედრების გაშუქებისას.

მონიტორინგისას ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით მასალებში რამდენიმე დარღვევა გამოვლინდა. ხშირია შემთხვევები, როცა საიტი ანინიმურ წყაროს იშველიებს ხოლმე ფაქტის დასამოწმებლად. ძირითადად წყარობად ხშირად არის მოყვანილი სახელმწიფო სტრუქტურები და მათი წარმომადგენლები.

შესაბამისობის კუთხით ხშირია აქცენტების სხვა საკითხებზე გადატანა. მაგ. ნაც მოძრაობის მაჟორიტარების წარდგენისას მასალაში ხაზგასმულია ძირითადად ვინ წარადგინეს და ვინ წარადგინა ესა თუ ის კანდიდატი. მაგ: მიხელ სააკაშვილმა ან გიგი უგულავამ. თავად კანდიდატი, მისი კომენტარები იშვიათად არის წარმოდგენილი სტატიებში. ასევე, „ქართული ოცნების“ აქციის შესახებ დაფიქსირდა აქცენტების გადატანა სხვა საკითხებზე - აქციის დროს დაპირისპირებაზე და ინციდენტებზე, მაგ: როგორც ადგილიდან „ინტერნეტ.ჯი“-ს კორესპონდენტი იტყობინება, რამდენიმე წუთის წინ, „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის პირველი ინციდენტი მოხდა.- ყურადღება გამახვილებულია, რომ თითქოს დანარჩენი ინციდენტებიც უნდა მოჰყვეს. „აქტივისტებმა „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაიურები ვერ გაიყვეს და ერთმანეთს სწორედ ამის გამო დაუპირისპირდნენ. ინციდენტი მას შემდეგ ამოიწურა, რაც აქტივისტებს დამატებითი მაისურები მიუტანეს „ (19 აგვისტო).

რამდენიმე სტატიაში დაფიქსირდა განსაკუთრებული მიშნებები ქართული ოცნების აქციაზე მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ასევე, პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის ციტატებში ოპოზიციას ხშირად მოიხსენიებენ წარსულ ძალად. არ ხდება დაკონკრეტება კონკრეტულად რომელ ძალას გულისხმობენ. ასეთი ბუნდოვანი მინიშნებების ტირაჟირება ციტატებით ხშირია.

მასალების ძირითადი ნაწილი შესაბამისობაშია ჟურნალისტურ სტანდარტებთან, ფაქტებით არის გამყარებული, თუმცა შეინიშნება წყაროთა ერთფეროვნება და ამ მხრივ ბალანსის დარღვევა.

## **liberali.ge**

liberali.ge-ს საიტზე მონიტორინგი ხორცილედება ახალი ამბების და სტატიების ბლოკში. მონიტორინგისათვის შერჩეულ პოლიტიკურ საარჩევნო სუბიექტებზე ამ ორ ბლოკში არის ძირითადად საუბარი.

ახალი ამბების ბლოკში ძირითადად ნიუსის ტიპის მასალებს ვხვდებით. თემატიკა საკმაოდ ერთფეროვანია. მაგ: მაჟორიტარების წარდგენა ნაციონალური მოძრაობის ან

ოპოზიციის მხრიდან, საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტების კონკრეტულ სხვა აქტივობაზე იშვიათად არის ინფორმაცია. ხშირია ინფორმაცია ცესკოს და არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივობებზე, პარტიათა რეიტინგებზე, საერთაშორისო დამკვირვებლებსა და ამომრჩეველთა სიებზე.

სტატიები ფაქტებზე დარდნობით არის აგებული და ჰყავს ერთზე მეტი წყარო. არ გვხვდება არაეთიკური გამონათქვამები. სტატიები დაცლილია სუბიექტურობისაგან, მკვეთრად არის გამიჯნული ფაქტი და კომენტარი.

**liberali.ge**-ს ვებგვერდზე ყველაზე მეტი მოცულობა დაეთმო მონიტორინგის სუბიექტებს შორის კოალიცია „ქართულ ოცნებას“. პროცენტული მაჩვენებლით - 36%. მომდევნო სუბიექტები თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოიკვეთა : „ნაციონალური მოძრაობა“ 12% და მთავრობა 15%. სუბიექტი მთავრობა გულისხმობს ძირითადად მმართველი გუნდის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, ხოლო ნაციონალური მოძრაობის აქტივობები შემოიფარგლება ძირითადად წინასაარჩევნო აქტივობებით- მაჟორიტარების წარდგენა, პარტიული შეხვედრები და ა.შ.

სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ვებგვერდზე ადგილი დაეთმოთ „ახალ მემარჯვენეებს“ (1%), „ქრისტიან- დემოკრატებს“ (2%), ასევე, ოპოზიციას (11%) ზოგად კონტექსტში კონკრეტული დაზუსტებების გარეშე.

**liberali.ge** ხშირად აქვეყნებს ადგილობრივ არასამთავრობო (3%) და საერთაშორისო (1%) ორგანიზაციათა აქტივობებს საარჩევნო კონტექსტის მიხედვით.

სუბიექტების ტონის შეჯამების შედეგად პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც წარმოადგენენ კონკრეტულ პარტიებს მხოლოდ ნეიტრალური ტონით შუქდება. რაც შეეხება, უფრო ზოგადი შინაარსის სუბიექტებს, წარმოდგენილია ნეგატიურ და ნეიტრალურ ტონში. ეს ეხება მთავრობას (56% ნეგატიური, 44% ნეიტრალური), პრეზიდენტს ( 17% ნეგატიური, 83 ნეიტრალური) და პარლამენტს ( 57%-ნეგატიური, 43% ნეიტრალური

**liberali.ge**-ის სტატიებში ჟურნალისტის ტონის მონაცემების შეჯამების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი მასალებს მხოლოდ ნეიტრალური ტონით ამზადებენ. განსხვავებული ტონი გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც თავად რესპონდენტები და

ციტატების ავტორები საუბრობენ. არსად გვხვდება პოზიტიური ტონით გაშუქებული მასალა.

**liberali.ge**-ს საიტზე სურათები და სათაურები არის ნეიტრალური შინაარსის და აღწერილობითი ხასიათის. არსად გვხვდება პოზიტიური ან ნეგატიური ტონის შემცველი. ხშირად არის რესპონდენტთა ციტატები სათაურებად გამოტანილი. მაგ: ჩიორა თაქთაქიშვილი: „არასამთავრობოებმა გადაუმოწმებელი ინფორმაცია გაავრცელეს“ ( 21 აგვისტო), საია -“ აუდიტის სამსახურმა კანონსაწინააღმდეგო აქტი უნდა გააუქმოს“ (15 აგვისტო).

სტატიები საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში ეხება კონკრეტულ ფაქტებს. მაგ: აუდიტის სამსახურის სანქციები „ქართული ოცნების“ ლიდერების მისამართით. სტატიაში ჟურნალისტს რამდენიმე კონკრეტული ფაქტი მოჰყავს ჯარიმებთან დაკავშირებით, წყაროებს ასახელებს, ყოველთვის წარმოდგენილია ოფიციალრი სტრუქტურების კომენტარი. არსად ვხვდებით ჟურნალისტის მოსაზრებებს და დასკვნებს.

მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი ინტერვიუ ქართული ოცნების წევრთან - პაატა ზაქარეიშვილთან. ინტერვიუ შეეხებოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, წინასაარჩევნო გარემოს და კოალიციის შემდგომ აქტივობებს. რესპონდენტის მხრიდან დაფიქსირდა ნეგატიური ტონი მთავრობის მისამართით.

ჟურნალისტური სტანდარტების კუთხით **liberali.ge**-ს მასალებში დარღვევებს არ ვხვდებით. მკითხველს აქვს საშუალება გაეცნოს საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის აქტივობებს, პოზიციებს. თუმცა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განხილვა და სიღრმისეული ანალიზი არ გვხვდება. ძირითადი აქცენტები გადატანილია საარჩევნო გარემოს შეფასებებზე და აუდიტის სამსახურის სანქციებზე პარტიებთან მიმართებაში. შესაბამისად, საარჩევნო თემატიკა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

## **news.ge**

*ვებ-პორტალზე ძირითადად ინფორმაციული ტიპის მოკლე სტატიები გვხვდება, რომლებშიც მინიმალურია ანალიზის/მიმოხილვის დონე. ყველაზე ხშირად იწერება სტატიები კოალიცია „ქართული ოცნების“ შესახებ, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ*

*გაშუქების ტონი ყველაზე მეტად უარყოფითია კოალიციის მიმართ. ვინაიდან ვებ-გვერდი ახალი ამბების საინფორმაციო პორტალს წარმოადგენს, ფაქტებსა და მოვლენებზე დაფუძნებული გაშუქება სტატიებში არსებითი ტენდენციაა. თუმცა, მონიტორინგის განმავლობაში ვხვდებით კონკრეტულ მაგალითებს, სადაც ფაქტების სიზუსტე ან/და მათი ინტერპრეტაცია სადავოა.*

*ვებ-გვერდზე გაშუქების სიხშირე არათანაბრად გადანაწილდა სახელისუფლებო და ოპოზიციურ სუბიექტებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. მასზე მთლიანი გაშუქების 28% მოდის, მომდევნო სუბიექტი, რომელსაც სხვებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მას საერთო გაშუქების 16%. პარლამენტს, პრეზიდენტს, მთავრობას და ადგილობრივ თვითმმართველობას ერთად, გაშუქების მთლიანი მოცულობის 9% დაეთმო.*

სტატიების ტონის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესწილად ნეიტრალურ ტონში გაშუქდა (81%), თუმცა მის მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური გაშუქების ტონიც (3% და 16%). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში დაფიქსირდა 19%–ნეგატიური, 14%–პოზიტიური, ხოლო 67%–პოზიტიური ტონი. ყველაზე მცირე მოცულობის ნეიტრალური ტონით გაშუქდა მთავრობა – 3%, მაშინ როცა მასთან მიმართებაში გაშუქების ტონის 55%–ნეგატიური, ხოლო 43% – პოზიტიურია.

სათაურების თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია. კერძოდ, უფრო ხშირად, სათაურად მოყვანილია ამა თუ იმ რესპონდენტის ფრაზა და არ ჩანს ვინ არის ამ ფრაზის ავტორი. საგულისხმოა, რომ ასეთი სათაური–ფრაზები, როგორც წესი, მტკიცებითი ფორმისაა და შეიცავს ან სხვა სუბიექტის მიმართ ბრალდებას, ან თავად ფრაზის ავტორის შესახებ მტკიცებითი ფორმის აზრს. მეორე ტენდენცია ამ მხრივ, თავად ჟურნალისტის ორიგინალურ მიგნებებშია და ზოგიერთ სათაურში ვლინდება სტატიის ავტორის შეფასებითი მსჯელობები.

მაგალითად, ფრაზა–სათაური – **"ივანიშვილი მზად არაა ქვეყანაში თავისუფალი მედია აიტანოს"** (21 აგვისტო), ცალსახად მტკიცებითი ფორმის შინაარს ატარებს და ნაციონალური მოძრაობის პრეს–სპიკერს ეკუთვნის, თუმცა მკითხველი ამას სტატიის წაკითხვის გარეშე ვერ გაიგებს და თუკი მხოლოდ ჰედლაინს მოჰკრავს, თვალს ამან შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიოს მის შეხედულებებზე.

**„ლევან ვეფხვაძემ "ქართული ოცნება" არათანმიმდევრულ საგარეო პოლიტიკაში დაადანაშაულა“** (22 აგვისტო) – სტატიაში ვკითხულობთ, რომ ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე არათანმიმდევრულ პოლიტიკაში ადანაშაულებს როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე „ნაციონალურ მოძრაობას“. თუმცა, ჟურნალისტს სათაურად მხოლოდ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გაკეთებული ბრალდება აქვს გამოტანილი.

ვიზუალური მასალა, რომელიც ვებ-პორტალზე წარმოდგენილ სტატიებს ახლავს თან, უმრავლეს შემთხვევაში ნეიტრალურია და კავშირშია იმ თემასთან, რომელზეც სტატიაშია საუბარი.

სტატიებში ძირითადად დაცული წყაროთა ბალანსი და ფაქტების სიზუსტე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სტატიას, მეორე მხარის კომენტარი სხვა მოგვიანებით განთავსებულ მასალაში მოჰყვება. თუმცა, ეს რა თქმა უნდა, სიტუაციას ბევრად ვერ ცვლის, ვინაიდან მკითხველი კონკრეტული ამბის სხვადასხვა მხარის მოსაზრებებს ცალკეულ სტატიებში ძებნას ვერ დაუწყებს.

უფრო ხშირად მათში შესაბამისობის პრობლემას არ ვაწყდებით. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში მაინც შეგვხვდა, რამდენიმე სტატია, რომლებზე ყურადღების გამახვილებაც საჭიროდ ჩავთვალეთ.

**"ოცნებელთა " საქმეზე მოწმეების წარმოსადგენად პროკურორი დამატებით დროს ითხოვს“** (21 აგვისტო) – სტატიაში საუბარია ამომრჩევლის მოსყიდვაში ბრალდებული „ქართული ოცნების“ აქტივისტების სასამართლო პროცესზე. სტატიის ვებ-გვერდზე განთავსების მომენტისათვის, ახალი ამბავი (ფაქტი) არის ის, რომ სასამართლო პროცესზე ყველა მოწმის წარმოუდგენლობის მიზეზით პროკურორმა საქმის განხილვის გადადება მოითხოვა. დამატებითი ინფორმაციის სახით კი ნათქვამია, რომ წინა სასამართლო პროცესზე (31 ივლისს) განხილვის გადადება პროკურორის მიერ სათანადო მტკიცებულებების შესაგროვებლად დამატებითი დროის მოთხოვნამ განაპირობა. ჟურნალისტს შეცდომით აქვს სათაურში აქცენტი 31 ივლისის სასამართლოს ამბავზე, ორი სხვადასხვა ფაქტი ერთმანეთშია აღრეული, რამაც მკითხველი შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს.

ჟურნალისტის ენის შეუსაბამობა ვებ-გვერდზე განთავსებულ სტატიათა უმრავლესობაში არ შეინიშნება, თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები ძირითადად კოალიცია „ქართული ოცნების“ ან მათთან დაკავშირებული პირების მისამართით ფიქსირდება. მაგ: **“ტყიბულელი**



"მეოცნებეები" ძალოვნების მხრიდან დევნაზე საუბრობენ" (16 ივლისი), ბაღათურამ კუკავა-შაშიაშვილ-ასათიანს უგანა და „ქართული ოცნებისკენ“ გადაინაცვლა“ (18 ივლისი), „რესპუბლიკელების“ მიერ პარტიიდან გარიცხული მურმან დუმბაძე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატია ბათუმში“ (ეს ფრაზა ტექსტში სამჯერ ერთი და იგივე სახით მეორდება) (20 ივლისი)

## pressa.ge

*საიტზე ნიუსების გარდა განთავსებულია ინტერვიუები და სტატიები. მონიტორინგის პერიოდში მოკლე, ინფორმაციები იყო მცირე რაოდენობით, ხოლო სტატიები შეიცავდა ჟურნალისტის მსჯელობებს და მოსაზრებებს. ყველაზე მეტი სიტყვების რაოდენობა დაეთმო კოლიცია „ქართულ ოცნებას“. ქართული ოცნების მიმართ ფიქსირდება უმეტესად ნეგატიური ტონი და იშვიათად ნეიტრალური. ამ საიტის ჟურნალისტები რიგ შემთხვევაში იყენებენ არაეთიკურ გამოთქმებს სხვადასხვა სუბიექტის მიმართ, ძირითადად , ქართული ოცნების ორი ლიდერის - ბიძინა ივანიშვილის და კახი კალაძის მისამართით.*

რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით ვებ გვერდზე ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებელი (სიტყვების რაოდენობა) დაფიქსირდა კოლიცია ქართული ოცნების მიმართ (70%), ასეთი დიდი მაჩვენებელი არც ერთ სხვა პოლიტიკურ სუბიექტთან მიმართებაში არ გამოკვეთილა. დიდი სხვაობაა მომდევნო სუბიექტების პროცენტულ მაჩვენებლებთან შედარებით. დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო (3%), ლეიბორისტული პარტია (3%), ახალი მემარჯვენეები (2%), ქრისტიან-დემოკრატები (2%), მთავრობა (4%) და პრეზიდენტი (4%).

ვებგვერდზე გვხვდება მასალები ცესკოს (5%) და ადგილობრივი ორგანიზაციების (5%) აქტივობებზეც.

სუბიექტის ტონის მიხედვით გამოიკვეთა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ 88 % ნეგატიური და 12 % ნეიტრალური აქვს. დანარჩენის სუბიექტების მიხედვით შემდეგი სახის პროცენტული გადანაწილებაა: „ახალ მემარჯვენეები“ ( 36%- ნეგატიური და 64%- ნეიტრალური),“ დემოკრატიულ მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ (81% ნეგატიური, 19 ნეიტრალური) ლეიბორისტული პარტია ( 8% ნეგატიური, 91% ნეიტრალური).

პოზიტიური ტონის ფიქსირდება მხოლოდ პარტია „ნაციონალურ მოძრაობის“ (29%) და პრეზიდენტის გამუქებისას (71%).

ჟურნალისტის ტონის სამი სუბიექტის მიმართ არის მკვეთრად ნეგატიური: ქართული ოცნება (93%), დემოკრატიული მოძრაობა (100%) და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები (100%). ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომლებიც ჟურნალისტის მოსაზრებებით დაკავშირებული კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“. დანარჩენ სუბიექტებთან მიმართებაში ჟურნალისტის ტონი ძირითადად ნეიტრალურია.

სტატიის სათაურები უმეტესად ნეგატიური ხასიათისაა, შეიცავს ირონიას და შეურცხმყოფელ ანალოგიებს, მეტაფორებს ქართული ოცნების მისამართით, მაგ: „შეშლილი, შეშლილი ბორისი“ (31 აგვისტო), „მეოცნებე კრიმინალები რაჭა-ლეჩხუმში“ (4 სექტემბერი), „კახი კალაძე და 40 ყაჩაღი“ ( 23 აგვისტო), „ ივანიშვილისგან დაბნეული კალაძე, აგდებული აღდამოვი და არეული ოლიმპიელები“ (6 აგვისტო).

ვებგვერდი ილუსტრაციების თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ ყველა ფოტოს ახლავს ნეგატიური ხასიათის კომენტარი. თავად ფოტო ნეიტრალურია, ხოლო კომენტარი ყოველთვის უარყოფით კონტექსტშია. იგივეს ვერ იტყვიან სხვა სუბიექტებთან დაკავშირებით, მათი ფოტოები მხოლოდ ნეიტრალური ტონის შემცველია.

სტატიები ძირითადად ჟურნალისტის ანალიზს წარმოადგენს, რომელიც მუდმივად დაფუძნებულია დაუდასტურებელ ფაქტებზე, ვარაუდებზე და ეჭვებზე. მაგ.: ივანიშვილის გარემოცვასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით. მაგ: „ფქვილის პრინცესას“ უარი უნდა ეთქვა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, სანაცვლოდ კი, დიდ ფულს მიიღებდა.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი მილიონი დაემატება, პურის მაფით ნაშოვნ მილიონებს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, ნინოს პოლიტ-გამოცდილებას, ის სინდისს სარფიანად ყიდის ხოლმე“ (9 აგვისტო).

კახი კალაძე სამტრედიელებსაც არ მოსდით თვალში. რამდენიმე საათის წინ, ცნობილი „ავტოგოლისტი“ სოფელ ბაშის მცხოვრებლებს შეხვდა. უფრო სწორად, შეხვედრას ცდილობდა. ბაშელებმა, კახი კალაძეს, სამტრედიულად რომ ვთქვათ, „კუდიტ ქვა ასროლინეს“ (13 აგვისტო).

სტატიაში ხშირია ანონიმურ წყაროებზე აგებული ინფორმაციები. პრესა.ჯი-სთვის ცნობილი გახდა, ვრცელდება ინფორმაციაც, პრესა.ჯი“-ს ინფორმაციით.

ბალანსი არცერთ ნიუსში არ არის დაცული, ორივე მხარის მოსაზრებებს იშვიათად ვხვდებით ერთ სტატიაში. რიგ შემთხვევაში არის საკმაოდ მძიმე ბრალდებები, მაგრამ ასეთ საკითხებზეც არასადროს არის ბრალდების მხარის პასუხები. თუმცა პრესა.ჯის ჟურნალისტებისათვის არასადროს წარმოადგენს პრობლემას ოფიციალური სტრუქტურებიდან კომენტარის მოპოვება. „როგორც ჩანს, კალაძე ზავშვობაში ფილმ „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღის“ მოყვარული იყო. სწორედ, ორმოცი ყაჩაღით აპირებს, ახლა სამტრედიის სოფლების დაწოკებას. როგორც ცნობილია, კალაძე სამტრედიის რაიონის ყველა სოფლიდან გამოაძევეს. ადგილობრივებმა მას, ხან რუსეთუმეობა წამოაძახეს, ხან მამა-პაპის ცოდვები“ (23 აგვისტო).

„თავიდან, ამბროლაურში მია ფანჯიკიძის (იგივე „დედა ბუ“) კანდიდატურა უნდა დაეყენებინათ, მაგრამ მიხვდნენ, „დედა ბუზე“ მეტად ამბროლაურის ტყეებში რომ ღამ-ღამობით ბუ ჭყვივს, ის უფრო ცნობადი სახე იქნებოდა. ამიტომ, საიდანღაც დავით დარახველიძე გამოქექეს.

ეს ფაქტებიც რომ არა, აშკარაა, ოლიგარქი კრიმინალების გარემოცვაშია. ყოფილი მექრთამეები, ნარკომანები, ნარკო-ბარიგები და ზოგადად კრიმინალები - აი ივანიშვილის დასაყრდენი. თავად ბიძინა, ამ კრიმინალური სამყაროს უკანასკნელი იმედია“ (14 აგვისტო).

„კალაძე სოფელ ნიგორწყვას ეწვია, სადაც შეხვედრის იმიტაციის ჩატარებაც კი ვეღარ მოახერხა. ადგილობრივები მისდამი იმდენად აგრესიულად არიან განწყობილნი, რომ კალაძისა და მისი ამაღლის დანახვა არავის გახარებია. სამტრედიელებს არ სჯერათ ყოფილი ფეხბურთელის, ადგილობრივებს მიაჩნიათ რომ კალაძე მათთვის არაფერს გააკეთებს და წინასაარჩევნო დაპირებებს მხოლოდ და მხოლოდ ხმების მოსაპოვებლად იძლევა. ნიგორწყველების აგრესიით იმედგაცრუებულმა კალაძემ დღეისათვის დაგეგმილი ყველა შეხვედრა გადადო“ (17 აგვისტო)

pressa.ge-ს ყველა სხვა სუბიექტი აინტერესებს მხოლოდ „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში. ხშირად არის ინტერვიუები იმ პარიტის წარმომადგენლებთან, რომლებიც ძირითადად აფიქსირებენ ნეგატიურ განწყობას ქართული ოცნების და ივანიშვილის მიმართ. მაგ: „ლეიბორისტები“, „ახალი მემარჯვენეები“, თავად „ქართული ოცნების“ ლიდერებთან ინტერვიუ იშვიათად გვხვდება. მაგ: „პოლიტოლოგი გიგა ლიპარტელიანი კოალიცია „ქართული ოცნების“

ლიდერს რუსეთში მცხოვრები ე.წ კანონიერი ქურდის, ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობასთან კავშირში ადანაშაულებს. კანონიერი ქურდი 1994 წელს მოკლული იპოვეს.

ლიბარტელიანი ირწმუნება, რომ 160 გვერდიანი წიგნი ასახავს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის შავ-ბნელ საქმეებს. ავტორი კანონიერი ქურდის მკვლელობაზე სწორედ ამ წიგნში

**p.s:** "პრესა.ჯი" ჯერ კიდევ ამ წიგნის დაბეჭდვამდე წერდა კვანტრიშვილის მკვლელობაში ივანიშვილის შესაძლო მონაწილეობის შესახებ. ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის დეტალები“ (30 ივლისი)

შეინიშნება შემდეგი სახის ტენდენცია, სააგენტო ახალ სტატიაში მუდმივად იმეორებს ძველ ინფორმაციებს. თითქოს მიზანმიმართულად ხდება ერთ და იგივე მასალის ხელახალი გამოქვეყნება. ახალ სტატიას რამდენიმე ახალი ფაქტი ან მოსაზრება ემატება მხოლოდ.

სტატიის ენა ხშირად არაეთიკურია, არის დისკრიმინაციული ტერმინოლოგია, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა და.ა.შ. სხვადასხვა ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სტატიების ეპითეტები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, მაგ: “ოლიგარქი, წმინდა ბიძინა მდიდარი”,(27 აგვისტო) “ლაჩარი, არაკაცი”, (19 ივლისი), “რუსეთუმე, პუტინისტი”, (18 ივლისი) “მეოცნებეები,ინტელექტუალურემოციურშეტევიანი” (27 აგვისტო) და ა.შ

ევროპის რა ვთქვათ, მაგრამ საქართველო მართლა გადარია ბიძინას საარჩევნო სიის ათეულმა. ამას ჰქვია „მიცვალებულები ადგნენ“ ( პოლიტიკური გვამები ანუ...) (3 სექტემბერი).

ერთხელ „ჩემმა ეკამ“ თქვა, ბიძინას რომ გაუჭირდეს რამე, მე გამოვალ ასპარეზზეო. მანამდე თავს ვინახავო.. ეკა გამოდი, ბიძინას უკვე უჭირს... (27 აგვისტო)

„არაკაცი“ და „ ლაჩარი“ ვალერი გელაშვილი სოფელ ვაყადან გაგდეს (19 ივლისი)

ვინც „ცნობილი გამომძაღველის დილას“ „მაესტროს“ ეთერში უყურა თუ უსმინა, საბოლოოდ დარწმუნდებოდა, რომ ბიძინა ივანიშვილი არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანია. თვით, ყველაფერზე წამსვლელი შალვა რამიშვილი გააოგნა ოლიგარქის არანორმალურმა განცხადებებმა.

რამიშვილი, რამდენჯერმე შეეცადა ოლიგარქის „ადამიანურ რელსებზე“ გადაყვანას, მაგრამ ამაოდ. სახეშემლილი, გაფითრებული, ტუჩებგალურჯებული ოლიგარქი იმაზე უფრო დაჩიავებული ჩანდა, ვიდრე რეალურადაა. სახეზეა მწვავე ფსიხოზი. შეიძლება პასიური შიზოფრენიაც (31 აგვისტო)

ჭორვილელი ოლიგარქი ჩვენს თვალწინ, დაქტატორად და ტირანად ყალიბდება. ტირანი ჭკვიანი როცაა, საშიშია. ბრიყვი ტირანი კი - უფრო საშიში. ჭკვიანი ტირანი, რასაც ფიქრობს არ ლაპარაკობს. ბრიყვი ტირანები კი, გულის ნადებს არ მალავენ (31 აგვისტო).

## civil.ge

*civil.ge-ზე ქვეყნდება როგორც მოკლე, საინფორმაციო სახის სტატიები, ასევე შედარებით ვრცელი, ანალიტიკური სახის წერილები. უმეტეს შემთხვევებში civil.ge-ს სტატიები წარმოადგენს ახალი ამბების მიმოხილვას, რასაც ერთვოდა ჟურნალისტისა და რესპონდენტთა კომენტარები. რიგ შემთხვევებში civil.ge გვთავაზობს მხოლოდ მშრალ, მოკლე ინფორმაციას მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით.*

*civil.ge-ს სტატიებში ყოველთვის შეიმჩნევა ჟურნალისტის თავშეკავებული მსჯელობა ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ; რა თქმა უნდა, არის ჟურნალისტის მხრიდან კონკრეტული მოვლენის ან პიროვნების კრიტიკის შემთხვევები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტის მხრიდან კრიტიკა ყოველთვის კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარეობდა და არ შეგვხვედრია ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ პიროვნული ან გადამეტებული კრიტიკა.*

მონიტორინგის პერიოდში civil.ge-ზე ტექსტის მოცულობის მიხედვით ყველაზე მაღალი პროცენტით გვხვდება „ქართული ოცნება“ (26%) და მთავრობა (21%), რომლებსაც მოჰყვება „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა“ (19%). Civil.ge სხვა სუბიექტებთან შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდა საქართველოს პრეზიდენტს (7%), საერთაშორისო ორგანიზაციებს (7%), ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (6%), სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (4%) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (4%).

ყველაზე ინტენსიურად წარმოდგენილ სუბიექტებს შორის ნეიტრალური ტონის სხვებზე მაღალი მაჩვენებელი „ქართულ ოცნებას“ აქვს (91%), ხოლო ურყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი - პრეზიდენტს (39%) და მთავრობას (30%). დადებითი

ტონი ფიქსირდება მთავრობის (8%) და „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის“ (8%) მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ტონები წარმოადგენს ჟურნალისტისა და რესპონდენტთა კომენტარების ერთობლივ სურათს. რაც შეეხება მხოლოდ ჟურნალისტის ტონს, ამ შემთხვევაში ძირითადად ნეიტრალური ტონი გვხვდება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ civil.ge-ს სტატიებში არ შეინიშნებოდა ჟურნალისტის ტენდენციურობა ან მიკერძოებულობა ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ. გამონაკლისის სახით გვხვდება ჟურნალისტის დადებითი ტონი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ (4%) და მცირედი ნეიტრალური ტონი მთავრობის მიმართ (2%); ყველა სხვა შემთხვევაში ჟურნალისტის ტონი ნეიტრალურია.

civil.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიების სათაურები უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურ ტონს ატარებდა. მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ ყოფილა შემთხვევები, რომ სტატიის სათაურს გამოეხატოს ტენდენციური დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ. ასევე, არ ყოფილა შემთხვევები, რომ სათაურში გამოხატულიყო დისკრიმინაციული ან არაფორმალური საუბრის ელემენტები. გამონაკლისის სახით შეგვიძლია მხოლოდ გამოვყოთ ერთი შემთხვევა - „**მმართველი პარტია სატელევიზიო რეკლამაში ქცევის კოდექსთან დაკავშირებით „ქართულ ოცნებას“ უტევს**“ (1 აგვისტო). ამ კონკრეტულ სათაურში შეიმჩნევა არაფორმალური საუბრის გამოვლინება, კერძოდ, სიტყვა „უტევს“. თუმცა, ეს ტერმინიც ნაკლებად წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხემ დარღვევას. შესაბამისად, ფაქტია, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ უკანასკნელ მაგალითის, უხეში დარღვევა საერთოდ არ შეგვხვედრია მონიტორინგის პერიოდში.

civil.ge-ს სტატიებს თითქმის არასდროს ახლდა თანდართული ვიზუალური მასალა. მონიტორინგის პერიოდში სულ შეგვხვდა რამდენიმე ფოტო, რომლებიც მიწოდებული იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის მიერ. მოცემული ფოტოები ყოველთვის ნეიტრალური ხასიათისა იყო და არ გამოხატავდა რედაქციის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე სუბიექტის მიმართ.

civil.ge-ს სტატიებში წყაროთა ბალანსი უმეტეს შემთხვევაში დაცულია. მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ შეგვხვედრია სტატია, რომელშიც მოცემული იქნებოდა რომელიმე კონკრეტული სუბიექტის ცალმხრივი კრიტიკა. ხშირად გვხვდებოდა სტატიები, რომლებიც გამოირჩეოდა რესპონდენტთა მრავალფეროვნებით; მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სტატიები, რომლებიც საარჩევნო რეგულაციებს ეხებოდა. ასეთ სტატიებში ხშირი იყო როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო

ორგანიზაციების, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა კომენტარები. პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ხშირად გვხვდებოდა კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა კომენტარები. აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი სუბიექტისთვის დათმობილი ტექსტის ბალანსიც მაღალ დონეზეა დაცული.

civil.ge-ს სტატიები უმეტეს შემთხვევებში ფაქტებზე დაყრდნობით იყო მომზადებული. თითქმის არ შეგვხვდებოდა შემთხვევა, რომ რედაქციის ან კონკრეტული ჟურნალისტის მოსაზრებები და კომენტარები არ ყოფილიყო დამოწმებული ფაქტებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სტატიების დასკვნითი ნაწილიც ძირითადად პასუხობდა მთლიანი სტატიის სტრუქტურას და მის ლოგიკურ დასრულებას წარმოადგენდა. ასევე, არ ყოფილა ჟურნალისტის მხრიდან ფაქტებით მანიპულირების შემთხვევები; ჟურნალისტის მსჯელობა არ სცდებოდა მოცემული ახალი ამბის კონტექსტს და არ ხდებოდა კონკრეტული მოვლენის განზოგადება და განვრცობა რედაქციისათვის სასურველი რაიმე შეხედულების განმტკიცების მიზნით.

civil.ge-ს სტატიები უმეტეს შემთხვევებში სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით მზადდებოდა. მონიტორინგის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაცია ანონიმური ან საექვო წყაროების მიერ ყოფილიყო მოწოდებული. ხშირად გვხვდებოდა ამონარიდები სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტიდან. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირად შეიმჩნეოდა საარჩევნო რეგულაციების, პარტიათა დაფინანსებისა და საარჩევნო სიების დაზუსტების შესახებ მომზადებულ სტატიებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდში civil.ge-ზე საერთოდ არ შეგვხვდებოდა ჟურნალისტის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევები. ასევე, არ ყოფილა ჟურნალისტის მხრიდან დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის ან ე.წ. სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები.

## **tabula.ge**

*tabula.ge არჩევნებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას მიმოიხილავს. თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. სტატიები ანალიტიკური ხასიათის არის ძირითადად, თუმცა, არის მოკლე საინფორმაციო შეტყობინებებიც. კრიტიკული ან პოზიტიური დამოკიდებულება ამას თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის*

*მიმართ იგრძნობა, თუმცა, ჟურნალისტები კორექტულობით გამოირჩევიან, ცდილობენ ორზე მეტი წყარო და, ასევე, განსხვავებული მოსაზრებები წარმოადგინონ სტატიაში.*

თითქმის თანაბრად გადანაწილდა ტექსტის მოცულობა (სიტყვების რაოდენობა) ოპოზიციურ და სახელისუფლებო სუბიექტებს (პრეზიდენტი, ხელისუფლება, პარლამენტი, მმართველი პარტია) შორის. ყველაზე მეტი მოცულობა დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ – 32%, მომდევნო სუბიექტია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც დაეთმო მთლიანი მოცულობის 20 %, პრეზიდენტს - 3%, ხელისუფლებას კი - 7%. სხვა ოპოზიციურ პარტიებს შორის პროცენტული მაჩვენებელი ასე გადანაწილდა: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 4%, ლეიბორისტული პარტია - 1% და მემარჯვენეებიც -1%.

სუბიექტის ტონის მონაცემების შეჯამების მიხედვით „ქართული ოცნებას“ ყველაზე მეტი მოცულობა ეთმობა ამ საიტზე. გაშუქებულია, ძირითადად, ნეიტრალური ტონით - 79%, ნეგატიური ტონით - 19%, პოზიტიურით კი - მხოლოდ 2%. „ნაციონალური მოძრაობაც“, ძირითადად, ნეიტრალური ტონით შუქდება (75%), მის მიმართ ნეგატიური ტონი ნაკლებად ფიქსირდება - 8%, პოზიტიური კი - 17%. უმთავრესად ნეიტრალური ტონი ფიქსირდება მთავრობის და პრეზიდენტის მიმართაც - 62% და 50%. როგორც „ქართული ოცნება“, სხვა ოპოზიციური პარტიებიც უმეტესად ნეიტრალური ტონით შუქდება: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 86%, ლეიბორისტული პარტია - 72%, „ახალი მემარჯვენეები“ კი - 59%.

ჟურნალისტის ტონი თითოეული სუბიექტის მიმართ: „ქართული ოცნება“, რომელსაც ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო ამ საიტზე, ჟურნალისტის მიერ მეტწილად ნეიტრალური ტონით შუქდება - 86%, მის მიმართ ნეგატიური ტონის მაჩვენებელია 14%. ძირითადად ნეიტრალური ტონი ფიქსირდება პრეზიდენტისა (100%) და მთავრობის (96%) მიმართ. „ქართული ოცნების“ გარდა, სხვა ოპოზიციური პარტიებიც მთლიანად ნეიტრალური ტონით შუქდება.

პოზიტიური ტონი დაფიქსირდა ნაციონალური მოძრაობის (11%) და არჩევნების დამკვირვებლების მიმართ ( 12%)

მონიტორინგის პერიოდში ვებ-საიტ **tabula.ge** -ზე გვხვდებოდა სტატიები, რომლებშიც მიმოხილულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა. სტატიების მოცულობა არ არის დიდი - უმეტესად, რომელიმე ფაქტის ან საარჩევნო სუბიექტების აქტივობების მოკლე მიმოხილვაა.



სტატიების სათაურები აღწერილობითი შინაარსისაა და არ არის ორიენტირებული სკანდალურ განცხადებებზე, მოკლედ და ნათლად გადმოსცემს მთავარ სათქმელს. განვიხილოთ განსხვავებული შემთხვევა: 10 აგვისტოთი დათარიღებული სტატია ასეა დასათაურებული - „ივანიშვილი: რუსეთს კავკასიაში გადმოსვლა საუკუნეებია სურს და ეს ნორმალურია“. ავტორი ამ წინადადებას იმეორებს და განაგრძობს: „მან (ივანიშვილმა) დასძინა, რომ საქართველოსთან მდებარე ქვეყნებიდან რუსეთი არ არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც გარკვეული სურვილები ამოძრავებს საქართველოს ტერიტორიების მიმართ“ (10 აგვისტო). სტატიას ვიდეოც ახლავს (32.53 წთ) და ამ სიტყვის მოსმენისას ცხადი ხდება, რომ „ეს ნორმალურია“ ნიშნავს - აგრესორი ქვეყნისთვის ნორმალურია, ამგვარი სახელმწიფოებისთვის ჩვეულია, ბუნებრივია. მაგრამ სათაურის გაცნობა კონტექსტის გარეშე ნამდვილად ნეგატიურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

საიტის ვიზუალური მასალა სადაა, ფოტოები ნეიტრალური ხასიათისაა. უმრავლეს შემთხვევაში სტატიებს ახლავს ლოგო იმ ორგანიზაციის, პარტიისა თუ კოალიციის, რომელზეც საუბრობს ჟურნალისტი. გვხვდება რამდენიმე ვიდეორგოლიც, მაგალითად, „ბიძინა ივანიშვილი ნინო ბურჯანაძეს შეხვდა“ (19 აგვისტო); „ივანიშვილი: რუსეთს საუკუნეებია კავკასიაში გადმოსვლა სურს და ეს ნორმალურია“ (10 აგვისტო). ერთი ფოტოც უნდა განვიხილოთ, რომელიც ახლავს სტატიას „ბიძინა ივანიშვილის თერჯოლაში სტუმრობას ინციდენტი მოჰყვა“ (28 აგვისტო). ინციდენტი მოკლედ და კორექტულად არის აღწერილი, თუმცა, ივანიშვილის ფოტო ოდნავ კომიკურია და გარკვეულ ირონიულ განწყობას უქმნის მკითხველს.

ზოგჯერ გვხვდება წყაროების მიხედვით დაუბალანსებელი სტატია. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სტატიები: „ქართული ოცნების აქცია ბათუმში“ (5 აგვისტო); „ბეშუმის ინციდენტი“ (4 აგვისტო). ასევე, სტატია „ივანიშვილი მერაბიშვილთან დებატებს არ თანხმდება“ (21 აგვისტო). მასალაში ივანიშვილის პოზიციას ჟურნალისტი გადმოგვცემს (პერიფრაზია), მეორე მხარის პოზიციას კი პრესსპიკერი - ჩიორა თაქთაქიშვილი ამყარებს ციტატით, რასაც ემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადება, რაც დამაჯერებლობას სძენს ივანიშვილის ოპონენტს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგადად ივანიშვილი მიუწვდომელია პრესის წარმომადგენლებისათვის.

ჟურნალისტის პოზიციას და მიკერძოებულ მიდგომას იშვიათად ვხვდებით. მაგ: სტატიის სათაურად გამოტანილია დასკვნა: „ნატოში გაწევრიანების, განათლების,

ჯანდაცვისა და დემოკრატიის საკითხებს მმართველი პარტია უკეთ გაუმკლავდება“. ეს დასკვნა ემყარება NDI-ის კვლევის შედეგებს (16 ივლისი), თუმცა, გარკვეულწილად, ჟურნალისტის პოზიტიურ და პარტიის მხარდამჭერ პოზიციასაც გამოხატავს.

მიუხედავად ზემოხსენებული მაგალითისა, იშვიათად ვხვდებით ავტორის სუბიექტურ შეფასებებს. ნეიტრალური ტონით გაშუქებულ მასალებს შორის, მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ დაფიქსირდა ნეგატიური ტონი. თუმცა, ამ ვებ-გვერდის ჟურნალისტების მხრიდან არ გვხვდება ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ გადამეტებული კრიტიკა.

**tabula.ge-ს** ჟურნალისტები ცდილობენ, მოვლენა თუ საკითხი სხვადასხვა მხრიდან დაგვანახონ, ხშირად გვთავაზობენ პოლიტიკოსთა მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მასალაში მეტწილად ვხვდებით სხვადასხვა წყაროს, ექსპერტების შეფასებებს.

სტატიების ენა თავშეკავებულია, კორექტული. არ გვხვდება არაეთიკური გამოთქმები, აგრესია, ე.წ. სიძულვილის ენის შემთხვევები და დიკრიმინაციული ტერმინოლოგია.

## **tribuna.ge**

*ვებ-საიტ tribuna.ge-ზე სხვადასხვა მოცულობისა და შინაარსის სტატიებია განთავსებული. მოვლენების გაშუქებისას მკვეთრად იგრძნობა ავტორთა პოზიცია. სტატიები, ძირითადად, დაუბალანსებელია. ზოგიერთი სუბიექტის მიმართ შეურაცხმყოფელი ტონიც შეინიშნება.*

ყველაზე მეტი ფართობი ამ საიტზე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ეთმობა - 34%, „ნაციონალურ მოძრაობას“ - 19%, მთავრობას - 14%, პრეზიდენტს - 4%, მთავრობასა და პარლამენტს - თითო-თითო პროცენტი. „ქართული ოცნების“ გარდა სხვა ოპოზიციურ პარტიებს ძალიან მცირე ფართობი ეთმობა: ქრისტიან-დემოკრატებს - 2%, თავისუფალ საქართველოს, ახალ მემარჯვენეებს, ლეიბორისტებსა და ევროპელ დემოკრატებს - თითო-თითო პროცენტი.

სუბიექტის მიმართ ტონის მონაცემები კიდევ უფრო არათანაბარი გვაქვს. სამთავრობო სუბიექტთა მიმართ უფრო ნეგატიური ტონი ფიქსირდება: პრეზიდენტის მიმართ ნეგატიური ტონი - 64%, მთავრობის - 81%, ადგილობრივი

თვითმმართველობის - 84%, პარლამენტის - 92%, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ კი - 50%.

„ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ნეიტრალური ტონიც ფიქსირდება - 35%, პოზიტიური კი - 15%. ნეიტრალური ტონით გაშუქდა მთავრობა - 14%, პრეზიდენტი კი - 33%. „ქართული ოცნება“ შუქდება უმთავრესად ნეიტრალური ტონით - 52%, ნეგატიური ტონით - 13%, პოზიტიურ ტონს კი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს - 35%.

ოპოზიციური პარტიები უმეტესად ნეიტრალური ტონით შუქდება. „ახალი მემარჯვენეები“ 59%, ქრისტიან-დემოკრატები - 68%, თავისუფალი საქართველო 62% . მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და დამკვირვებლები ძირითადად ნეიტრალური ტონით შუქდებიან 58% და 92%, მათ მიმართ ნეგატიური ტონის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია: დამკვირვებლები - 8%, საერთაშორისო ორგანიზაციები - 16%.

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აქაც განსხვავებული ვითარება გვაქვს: ნეგატიური ტონი პრეზიდენტის მიმართ - 48%, მთავრობის მიმართ კი - 46%. ამ სუბიექტების მიმართ ნეიტრალური ტონიც ფიქსირდება: პრეზიდენტი - 52%, მთავრობა - 54%. „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ვებ-საიტის ჟურნალისტები შედარებით ლოიალურები არიან: 66% - ნეიტრალური ტონი, 28% - ნეგატიური ტონი, პოზიტიური კი -65%.

„ქართული ოცნების“ მიმართ ნეიტრალური ტონის მკვეთრად მაღალი მაჩვენებელი გვაქვს - 83%, მის მიმართ ნეგატიურ ტონს იჩენს ვებ-გვერდი 11%-ის შემთხვევაში, პოზიტიურს კი - 6%-ის. ჟურნალისტის ტონი სხვა ოპოზიციური პარტიების მიმართ უფრო ნეიტრალურია. თუმცა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ ნეგატიური ტონიც ფიქსირდება -26%.

სტატიების სათაურებიც მრავალფეროვანია. გვხვდება საქმიანი, ინფორმაციული ხასიათის სათაურები და გვხვდება, აგრეთვე, მკითხველის ემოციებზე გათვლილი მოწოდებები, მაგალითად: „გრიგოლია: გადადგეს სააკაშვილი „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობიდან და ვნახოთ რა ბიჭები არიან“ (1 აგვისტო); „ნაცმოძრაობის მხარდამჭერი: ვინც მიშას არ მისცემს ხმას, გავიგებ, სიაში ჩავწერ და მერე ნახავს“ (6 აგვისტო); „სოსო შატბერაშვილი: ივანიშვილისგან მოვითხოვ, შეწყვიტოს სააკაშვილის დაფინანსება“ (23 აგვისტო) და სხვ.

16 აგვისტოს გამოქვეყნდა სტატია სათაურით - „გამგებლის შვილი: ივანიშვილმა 80 მილიონი იმიტომ გადმორიცხა, რომ წააგო“. „სოფლის გამგებლის (სახელი და გვარი წერია) თორმეტი წლის შვილმა სხვა ბავშვებთან ერთად „ქართული ოცნების“ გაზეთები დახია და კოალიციის წევრებთან პოლიტიკური დებატები წამოიწყო“ (ბავშვის სიტყვებიც მოყვანილია). „ინციდენტისას მოზარდი ნერვიულობდა, ბოლოს კი ტირილი დაიწყო“. ბავშვის სიტყვების საჯაროდ განხილვა, ისიც პოლიტიკურ ჭრილში, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არაეთიკურია. ინციდენტის განხილვისას ჟურნალისტის მიერ არ უნდა მომხდარიყო არასრულწლოვნის იდენტიფიცირება

ვიზუალური მასალიდან გამოვყოფთ ერთ ფოტოს, რომელზეც გამოსახულია ივანიშვილი. ივანიშვილის უკან „ქართული ოცნების“ ლოგოა გამოსახული და წრეში ჩახატული მზის სხივები ამ პოლიტიკოსის თავს ზემოთ მოხვდა - ისე აღიქმება, როგორც შარავანდედი. ქვემოთ კი მის ფეხებთან ხალხის ზევით აპყრობილი ხელები ჩანს (16 აგვისტო).

ამ ვებ-გვერდის უმრავლეს სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია არ არის დაბალანსებული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რომელი სტატიაც დაბალანსებული აღმოჩნდა, გადმოტანილია სხვა საიტებიდან თუ საინფორმაციო სააგენტოებიდან, ან იმ სტატიების მიმოხილვაა., მაგალითად, 19 ივლისი – Eurasianet: „წინასაარჩევნო კამპანია დედაქალაქიდან სოფლებში ინაცვლებს“; ან 22 ივლისი – Radio free europe: „ნაციონალები არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ინიციატივით გამოდიან.“

სტატიებში გვხვდება სხვადასხვა ტიპის შეცდომები. მაგალითად, სტატიაში „სოსო გალუმაშვილი: დრო ჯერ ივანიშვილზე მუშაობდა, ახლა კი სააკაშვილზე დაიწყო მუშაობა“ (2 აგვისტო). სტატიაში კი პირიქითაა ახსნილი. ამ ფრაზას მოსდევს: „რეიტინგების დინამიკის გადახედვის შემდეგ სწრაფად უნდა დანიშნულიყო არჩევნები, რადგან რაც უფრო გაიწელებოდა დრო, მით მეტად შემცირდებოდა „ნაცმოდრაობის“ მომხრეთა რაოდენობა და მეტად გაუჭირდებოდა მმართველ პარტიას მომხრეების შენარჩუნება“. არის ფაქტობრივი შეცდომებიც, მაგ: ლეიბორისტური პარტიის წევრის გვარი შეცდომით წერია: ხან ძაგანიაა, ხან კი კახა ძაგანიძე.

მკვეთრად იგრძნობა ავტორთა პოზიცია. ხშირია სარკაზმი, შეურაცხმყოფელი ტონი, და არა მარტო ტონი, შინაარსიც („გამგებლის შვილი“; „ნაცმოდრაობის მხარდამჭერი“). ჟურნალისტის ენა კორექტულია, თუმცა, თუ რესპოდენტი შეურაცხმყოფელ გამოთქმებს იყენებს, ჟურნალისტიც ხალისით იმეორებს, მაგალითად, „ნაცური

ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატები“ (17 აგვისტო); „საკაშვილის ქალი ვარ მე“... 8 აგვისტო).

## for.ge

*სტატიები, რომლებიც ჩვენი მონიტორინგის არეალში მოექცა ძირითადად მოცულობითი, ანალიტიკური ან შეფასებითი ტიპისაა. ასევე, ხშირად გვხვდება თარგმნილი სტატიები, რომლებიც ვებ-გვერდზე [www.foireignpress.ge](http://www.foireignpress.ge)–დან ხვდება. თავის მხრივ, ეს სტატიები ნათარგმნია სხვადასხვა უცხოური გამოცემებიდან. მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა ასევე რამდენიმე საავტორო სვეტი (opinion editorial), რომელთა ავტორები ძირითადად პოლიტიკურად აქტიური პირები არიან. ასევე ხშირად გვხვდებოდა ინტერვიუს ტიპის სტატიებიც.*

ვებ-გვერდზე გაშუქების სიხშირე თითქმის თანაბრად გადანაწილდა სამთავრობო და ოპოზიციურ სუბიექტებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. ჟურნალისტის გაშუქების ტონის მიხედვით ყველაზე მეტი მოცულობის უარყოფითი ტონი მთავრობის მიმართ დაფიქსირდა, ხოლო დადებითი – კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ.

for.ge–მ ყველაზე მეტი მოცულობა მონიტორინგის სუბიექტებს შორის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუთმო. მასზე მთლიანი გაშუქების 27% მოდის. აღსანიშნავია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქების სიხშირე მკვეთრად არ განსხვავდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მთავრობის გაშუქების სიხშირის მაჩვენებლებისაგან: პირველს საერთო მოცულობის 21% დაეთმო, ხოლო მეორეს – 21%. ვებ-გვერდი თითქმის თანაბარ მოცულობას უთმობს ხსენებულ სამ სუბიექტს. ვებ-გვერდზე შედარებით შესამჩნევად ნაკლები მოცულობა ეთმობა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, თუმცა შედარებით მეტი მოცულობა პრეზიდენტს (8%) და საერთაშორისო ორგანიზაციების (6%).

სტატიების ტონის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესწილად ნეიტრალურ ტონში გაშუქდა (68%), თუმცა მის მიმართ დაფიქსირდა ასევე საკმაოდ მაღალი დადებითი გაშუქების ტონიც (25%). „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში მაჩვენებელი რადიკალურად განსხვავებულია, ვინაიდან სუბიექტის ნეგატიური ტონით გაშუქების მაჩვენებელმა 72% შეადგინა, ხოლო დადებითმა – მხოლოდ 3%. ნეგატიური ტონით გაშუქების

ასეთივე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა მთავრობის (87%) და პრეზიდენტის მიმართაც (76%).

ჟურნალისტის ტონის ჯამური ცხრილიდან გამოყოფის შედეგად სუბიექტების მიმართ ნეგატიური ან პოზიტიური ტონი ფიქსირდებოდა სტატიების ავტორების მხრიდანაც. ყველაზე მეტად ნეგატიური ტონი ჟურნალისტის ტექსტში იკვეთება მთავრობის მიმართ (84%), იგივე მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ შეადგენს – 69%-ს, ხოლო პრეზიდენტის მიმართ – 63%-ს. პარალელურად, დადებითი ტონით გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ შეადგენს 16%-ს, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ – 1%-ს.

ვებ-გვერდზე გვხვდება როგორც მეტ-ნაკლებად ნეიტრალური, ისე მკაფიოდ შეფასებითი შინაარსის შემცველი სათაურები. ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, ერთი კონკრეტული მხარის წინააღმდეგ უარყოფითი ტონით გამოირჩევიან და ეს მხარე უფრო ხშირად მთავრობა ან მმართველი გუნდია. მაგალითად, სათაური – **„ჭარიფებისთვის“ შემორჩენილი ხრიკი სახელისუფლებო ხურჯინიდან“** (19 ივლისი) – რომლითაც ხელისუფლების წინსაარჩევნო ინიციატივების შესახებ სტატია დასათაურებული. ასევე, კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მიმართული ხელისუფლების ქმედებების შესახებ სტატია დასათაურებულია სათაურით – **„ხელისუფლების მორიგი შავი პიარი ვეღარ ჭრის“** (14 აგვისტო).

ვიზუალური მასალა, რომელიც ვებ-პორტალზე წარმოდგენილ სტატიებს ახლავს თან, უმრავლეს შემთხვევაში ნეიტრალურია და არსობრივად უკავშირდება თემას, რომელზეც სტატიაშია საუბარი. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა გარკვეული რაოდენობის ვიზუალური მასალა, ფოტომონტაჟი, რომელიც ზოგჯერ შეურაცხმყოფელი და კომიკური ქვეტექსტების შემცველია მთავრობის წარმომადგენელთა და მათი მხარდამჭერთა მიმართ (14 და 26 აგვისტო).

ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ For.ge-ზე განთავსებულ სტატიებში ბალანსი იშვიათად ფიქსირდება. აქვე გასათვალისწინებელია, ინტერვიუს ტიპის სტატიები, რომლებშიც ბალანსი ფორმატიდან გამომდინარე ვერ იქნება დაცული და სხვა ნათარგმნი სტატიებიც. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ უფრო ხშირად არის ბალანსი დაცული, ვიდრე თავად ვებ-გვერდის ჟურნალისტების სტატიებში, რომელთა სტატიები უმეტესად დაფუძნებულია ანონიმურ წყაროებზე და თავად ავტორის ვარაუდებზე.

სტატიაში „სტიქიით დაზარალებულ „ოცნების“ წევრებს დახმარებაზე უარს ეუბნებიან“ (10 აგვისტო) საუბარია კახეთში სტიქიით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურებაზე. ზოგ შემთხვევაში დაზარალებული მოსახლეობის პოლიტიკური ნიშნით გარჩევა მოხდა, რასაც ჟურნალისტი კახეთის რაიონში „ქართული ოცნების“ ორ მაჟორიტარზე დაყრდნობით იუწყება. ბრალდების სერიოზულობიდან გამომდინარე, ბუნებრივია სტატიაში უნდა ჩანდეს მოპასუხე მხარე, რომელიც პასუხს გასცემს ამ ბრალდებას, თუმცა ასეთი რესპონდენტი სტატიაში არ იკვეთება.

მეორე სტატია რამდენიმე წყაროს ეყრდნობა, თუმცა ორივე მათგანი ერთ პოზიციაზეა და სტატიაში განსხვავებული პოზიციის მქონე რესპონდენტი არ ფიქსირდება. სტატიაში – „ჰარიფებისთვის“ შემორჩენილი ხრიკი სახელისუფლებო ხურჯინიდან“ (19 ივლისი) – საუბარია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინსაარჩევნო პროგრამაზე, რომელის შინაარსსაც ორი დამოუკიდებელი ექსპერტი აფასებს, თუმცა ორივე რესპონდენტის მხრიდან უარყოფითი კრიტიკა ფიქსირდება. გარდა ამისა, ერთერთი რესპონდენტი იმ მოსაზრებასაც ატარებს, რომ წინსაარჩევნო პროგრამა ამომრჩევლის მოსყიდვის ელემენტებს შეიცავს, რაც დამატებითი მიზეზია, მეორე მხარის (ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“) პასუხის არსებობისათვის.

შესაბამისობის პრობლემა შესამჩნევია for.ge-ს სტატიების უმრავლესობაში. პრობლემის ამოსავალი წერტილი ამ შემთხვევაში ის არის, რომ სტატიები ხშირად დაფუძნებულია არა ფაქტებზე, არამედ სტატიის ავტორის ვარაუდებზე. შესაბამისად, გამოტანილი დასკვნებიც არა ფაქტებზე, არამედ ვარაუდებზეა დაფუძნებული.

„საკაშვილის მოლოდინში ამბროლაური სწრაფი ტემპით იღებება“ (18 ივლისი) – სტატიას აქვს არა მხოლოდ შესაბამისობის, არამედ ფაქტების სიზუსტის პრობლემაც. „ამბროლაურის რაიონში დაჩქარებული ტემპით ღებავენ და სახელდახელოდ აპირკეთებენ შენობების ფასადებს. საქმე იმაშია, რომ მიხეილ სააკაშვილის ამბროლაურში სტუმრობა სექტემბერში იყო გათვალისწინებული, მაგრამ გეგმები შეიცვალა და თარიღმა აქეთ გადმოიწია. რაჭული ამბები for.ge-მ სარწმუნო წყაროებისგან (ორი წყაროსგან) ინტერნეტის და ტელეფონის საშუალებით შეიტყო.“ ამგვარად დაწყებულ სტატიას ჟურნალისტი იმით აგრძელებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ამბროლაურში ჩავა და „საქართველოს ბანკის“ ფილიალს გახსნის, ასევე გახსნის აუზს, რომელიც უცნობია მხოლოდ გახსნის დღეს იმუშავებს თუ შემდეგაც, ასევე უცნობია ვინ გადაეშვება ამ აუზში საცურაოდ, ამის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია და რაც მთავარია, ამ მოვლენის გამო დინჯ რაჭველებს ძალიან აჩქარებენ და 24 საათიან რეჟიმში ამუშავებენ. რაც მთავარია, ჟურნალისტი პარალელს ავლებს სანზონასა და ამბროლაურს შორის (ვინაიდან სანზონაში მიხეილ სააკაშვილი

ვიზიტით უკვე იყო და იგი ამ ფაქტის შემსწრე გახდა). ამ გამოცდილების საფუძველზე იგი ასკვნის, რომ სანამ სააკაშვილი ვერტმფრენით ჩაფრინდება რამდენიმე საათით ადრე ასფალტით ამოტეხილ ნაწილებს სახელდახელოდ ამოავსებენ ამბროლაურშიც იპოვნინან ისეთ ბავშვებს ვინც მიშა-მიშას იყვირებს და მათ ქალბატონები უდირიჟორებენ – ყველაფერ ამის ვარაუდის საფუძველს ჟურნალისტი ერთადერთი რამ ამლევს: „ასე მოხდა სანჯონაში და ალბათ იგივეს გაიმეორებენ ამბროლაურშიც“. სტატიის ბოლოს ჟურნალისტის იმედს გამოთქვამს, რომ სამშენებლო სამუშაოები მშვიდად ჩაივლის, ხარაჩოდან არავინ გადმოვარდება და ბეტონის ე.წ. სინკარი არავის დაეცემა.

ჟურნალისტი ასკვნის, რომ რაჭველებმა კარგად იციან თუ როგორ უნდა გახადონ ბიულეტენი გამოუსადეგარი და როგორ უნდა „გადახაზონ, გადმოხაზონ“. არსად სტატიაში არ ჩანს ვინ არის ამ ინფორმაციის წყარო და რაზე დაყრდნობით აკეთებს ჟურნალისტი ასეთ დასკვნებს.

ვინაიდან, ვებ-გვერდზე განთავსებული სტატიების ავტორები ხშირად მიმართავენ ანონიმურ წყაროებს ან საერთოდაც საკუთარ ინტერპრეტაციებს უკეთებენ ფაქტებს.

სტატიაში „**ნაციონალური ლოგიკა და არითმეტიკის საფუძვლები ანუ როგორ უდრის 47 36-ს**“ (17 ივლისი) ჟურნალისტი NDI-ს მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს მიმოიხილავს. ამ კვლევამ აჩვენა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი თებერვალთან შედარებით შემცირდა. ამის ფონზე ავტორი ასკვნის, რომ ხელისუფლებამ თავის დამშვიდების ყველაზე კარგი ხერხი მოიფიქრა და პარტიის ლიდერები რიგით წევრებს არწმუნებენ, რომ მათი შედეგები არ შეცვლილა და იმდენივე დარჩა. ამას გარდა ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ იმ პირს ვინც დაიჯერა შედეგების შეუცვლელობა თავად აჩვენა თუ სად წერია გარკვევით რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ თებერვალში 47% ჰქონდა და ახლა 36% აქვს. მას შემდეგ რაც ეს პიროვნება ვერ გადაარწმუნა, ჟურნალისტი დაასკვნა, რომ როგორც ჩანს, „ნაციონალებმა“ გადაწყვიტეს, რადაც არ უდნა დაუჯდეთ, თავისი წევრები და მომხრეები დაარწმუნონ მათი რეიტინგების მდგრადობაში, ამის დასამტკიცებლად კი ელემენტარული არითმეტიკის წესების დარღვევასაც არ ერიდებიან და ეს ადამიანებიც ჯიუტად და ეჭვშეუტანლად ამტკიცებენ, რომ 47 ტოლია 36-ის. საგულისხმოა, რომ ჟურნალისტი არსად არცერთ სახელს და გვარს არ ასახელებს, არც იმ „ნაციონალური მოძრაობის ლიდერების“ ვინც რეიტინგების შეუცვლელობას ქადაგებდა და არც იმ პირის ვისი დარწმუნებაც თავად სცადა. ამის



გასამართლებლად წერს „გასაგები მიზეზების გამო სახელს და გვარს არ ვასახელებო“, თუმცა ეს „გასაგები მიზეზი“ აბსოლუტურად გაუგებარია.

ვებ-გვერდზე განთავსებული სტატიები უმრავლეს შემთხვევაში გამოირჩევიან ჟურნალისტის ენის შეუსაბამობით, უფრო ხშირად კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მიმართ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ყურადღება ეროვნული უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის გამოვლინებაზე გავამახვილეთ.

სტატიაში „ქართველი „სილოვიკების“ ზენიტი“ (16 აგვისტო) – საუბარია ძალოვან მინისტრებზე საქართველოს მთავრობაში, მათ შორის დიმიტრი შაშკინზეც. სწორედ შაშკინის ეროვნება არის ის, რაზეც სტატიის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. „თბილისში დაბადებულმა ეთნიკურად რუსმა, დიმიტრი შაშკინმა თავდაცვის მინისტრის პორტფელი მიიღო“.

„ნაციონალებმა „დიდგორობა“ აზერბაიჯანელებს აზეიმეს“ (15 აგვისტო) – „გადმოცემით, დავით აღმაშენებელს ანდერძად დაუტოვებია, ფეხი დაედგათ მისი საფლავის ქვისთვის, რათა ამით გაეგო, რომ ქართველი ერი ისევ არსებობდა. უცნობია, რა განცდა დაეუფლებოდა დავით აღმაშენებელს, როცა გაიგებდა, რომ 2012 წელს დიდგორის ველზე „გამარჯვებას“ აზერბაიჯანელები აღნიშნავდნენ, ჩვეულებრივ ქართველებს კი პარტიულ დიდგორობაზე შესვლა უჭირდათ“

ვებ-გვერდი გამოირჩევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მმართველი გუნდის მიმართ კრიტიკული სტატიებით, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ სტატიებს ლოგიკური დასაყრდენი, მსჯელობა, საფუძველი აკლია. ამის საპირისპიროდ, სტატიებში ხშირად ხდება კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება.

სერიოზული პრობლემა ფიქსირდება სტატიების ავტორთა ენის თვალსაზრისითაც. ავტორები ხშირად მიმართვენ სიძულვილის ენას, ირონიას.

## **dfwatch.net**

*dfwatch.net-ზე მონიტორინგის პერიოდში გვხვდებოდა საშუალო ზომის სტატიები. სტატიები ძირითადად წარმოადგენდა ახალი ამბების მიმოხილვას, რასაც ერთვოდა ჟურნალისტისა და რესპონდენტთა კომენტარები. dfwatch.net იშვიათად გვთავაზობდა მოკლე, მხოლოდ ინფორმაციული ტიპის სტატიებს; უმეტეს შემთხვევებში სტატიები ანალიტიკური ხასიათის იყო, ხდებოდა საკითხის სიღრმისეული მოკვლევა, ანალიზი, კრიტიკული შეფასებები.*

*ჟურნალისტის მიერ მაღალი პროცენტით ფიქსირდება უარყოფითი ტონი ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მიმართ.*

მონიტორინგის პერიოდში dfwatch.net-ზე ტექსტის მოცულობის მიხედვით ყველაზე მაღალი პროცენტით გვხვდება „ქართული ოცნება“ (42%), რომელსაც მოჰყვება მთავრობა (16%), „გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობა“ (10%) და არჩევნების დამკვირვებლები (8%). dfwatch.net სხვა სუბიექტებთან შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (5%), ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (4%), ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას (4%), სახელმწიფო აუდიტს (4%), პრეზიდენტს (3%) და პარლამენტს (3%).

ყველაზე ინტენსიურად წარმოდგენილ სუბიექტებს შორის ნეიტრალური ტონის სხვებზე მაღალი მაჩვენებელი სადამკვირვებლო მისიებს აქვს (100%), ხოლო უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი - „გაერთიანებულ ნაციონალურ მოძრაობას“ (75%) და მთავრობას (41%). დადებითი ტონი ფიქსირდება მთავრობის (10%) და „ქართული ოცნების“ (7%) მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ტონები წარმოადგენს ჟურნალისტისა და რესპონდენტთა კომენტარების ერთობლივ სურათს. რაც შეეხება მხოლოდ ჟურნალისტის ტონს, ამ შემთხვევაში ძირითადად ნეიტრალური ტონი გვხვდება. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ფიქსირდება უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელიც, მაგალითად პარლამენტის (76%) (იგულისხმება პარლამენტის თავმჯდომარე და ვიცე-სპიკერებიც), ნაციონალური მოძრაობის (45%) და მთავრობის (23%) მიმართ. ჟურნალისტის მცირედი დადებითი ტონი გვხვდება მთავრობის (10%) და „ქართული ოცნების“ (7%) მიმართ.

Dfwatch.net-ზე გამოქვეყნებული სტატიების სათაურები უმეტეს შემთხვევებში ნეიტრალურ ტონს ატარებდა. თუმცა, ასევე გვხვდებოდა სათაურები, სადაც გარკვეული ნეგატიური შეფასებები იკვეთება. მაგალითად: **„Government took millions in loans while running Cartu bank“** („მთავრობამ აიღო მილიონობით სესხი ქართუ ბანკის მართვის პერიოდში“) (31 ივლისი), **„Georgian Olympic athlete let down due to opposition symphaties“** („ქართველი ოლიმპიური სპორტსმენი გაწირეს ოპოზიციისადმი მისი სიმპათიების გამო“) (3 აგვისტო), **„Speaker of parliament is abusing his position“** („პარლამენტის სპიკერი ბოროტად იყენებს მის თანამდებობას“) (7 აგვისტო), **„Georgia’s ruling party concealing commercials as public ads“** („საქართველოს მმართველი პარტია მის სარეკლამო კამპანიას სოციალურ რეკლამად ასაღებს“) (15 აგვისტო).

ნიშანდობლივია, რომ იმ სათაურებში რომლებიც ტენდენციურობით გამოირჩევა, უმეტეს შემთხვევებში გვხვდება მმართველი პარტიისა და მთავრობის კრიტიკა. dfwatch.net-ზე მონიტორინგის პერიოდში არ შეგვხვედრია ისეთი, რომელიც ოპოზიციურ ძალებს აკრიტიკებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაგალითად მოყვანილ სტატიებში

ადგილი არ ჰქონია რომელიმე სუბიექტის ცალმხრივ ან გადამეტებულ კრიტიკას; მოცემულ სტატიებში სუბიექტების კრიტიკა ხდებოდა გარკვეული მოვლენების კონტექსტში და არა პიროვნულად ან დაუდასტურებელი ფაქტების საფუძველზე.

Dfwatch.net-ის სტატიებს უმეტეს შემთხვევებში არ ახლდა თანდართული ვიზუალური მასალა; ხოლო როდესაც სტატიებს ერთვოდა ფოტო-მასალა, ეს ფოტოები ყოველთვის ნეიტრალური ხასიათის იყო და არ გამოხატავდა რედაქციის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე სუბიექტის მიმართ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ Dfwatch.net-ზე განთავსებულ ფოტო-მასალას მითითებული ჰქონდა, რომ ეს მასალა მიწოდებულია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ. ამ მხრივ საავტორო უფლებებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება რედაქცია.

## palitratv.ge

*ვიდეოები, რომლებიც საიტზე იდება, ძირითადად, მოკლე, ინფორმაციული ტიპისაა. ბრიფინგის/პრეკონფერენციის ჩანაწერებს წარმოადგენს.*

*ვებ-პორტალზე მონიტორინგის პერიოდში კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული აქტივობები ინტენსიურად შეუქმნებოდა. ჟურნალისტის ენის შეუსაბამობა ვებ-გვერდზე განთავსებულ არცერთ ვიდეომასალაში არ დაგვიფიქსირებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ვიდეოების გარკვეული ნაწილი კომენტარის გარეშე განთავსებული ან მხოლოდ რესპონდენტის კომენტარია.*

*ვებ-გვერდზე გაშუქების სიხშირე არათანაბრად გადანაწილდა სამთავრობო და ოპოზიციურ სუბიექტებს შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად კოალიცია „ქართული ოცნება“ გაშუქდა. ჟურნალისტის გაშუქების ტონის მიხედვით ყველაზე მეტი მოცულობის ნეგატიური ტონი მთავრობის მიმართ (სპეციფიკაციის გარეშე) დაფიქსირდა. ჟურნალისტის/ვიდეოს ავტორის ტონი უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია.*

palitratv.ge-ზე ყველაზე მეტი მოცულობა მონიტორინგის სუბიექტებს შორის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. მასზე მთლიანი გაშუქების 34% მოდის, რაც 2902 წამს შეადგენს. მომდევნო სუბიექტი, რომელსაც სხვებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მას საერთო გაშუქების 17%, ანუ 1452 წამი დაეთმო. პარლამენტს, პრეზიდენტს, ხელისუფლებას (სპეციფიკაციის გარეშე) და ადგილობრივ თვითმმართველობას ერთად გაშუქების მთლიანი მოცულობის 22% დაეთმო, რაც 1902 წამს შეადგენს. სხვა პოლიტიკური პარტიებს შორის გაშუქდა პარტია „თავისუფალი საქართველო“, „ახალი მემარჯვენეები“, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, „ქართული დასი“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

ვიდეო მასალის ტონის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ სუბიექტი, რომელსაც ყველაზე მეტი დრო დაეთმო, უმეტესად ნეიტრალურ ტონში გამოუქდა (68%), თუმცა მის მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური გამოუქების ტონიც (15% და 17%). ასევე, განსაკუთრებული სხვაობა შეინიშნება პრეზიდენტის გამოუქების ტონებს შორის (პოზიტიური – 10%, ნეგატიური – 80%, ნეიტრალური – 10%). დანარჩენი სუბიექტების გამოუქების ტონებს შორის განსხვავება უფრო ნაკლებია. „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში დაფიქსირდა 39%-ნეგატიური, 21%-პოზიტიური, ხოლო 40%-პოზიტიური ტონი. ყველაზე მცირე მოცულობის ნეიტრალური ტონით გამოუქდა მთავრობა (სპეციფიკაციის გარეშე) – 3%, მაშინ როცა მასთან მიმართებაში გამოუქების ტონის 55%-ნეგატიური, ხოლო 43% – პოზიტიურია.

ჟურნალისტის ტონის მონაცემების შეჯამებისას სუბიექტების მიმართ ნეგატიური ტონი ვიდეომასალის ავტორების მხრიდანაც დაფიქსირდა. ყველაზე მეტად ნეგატიური ტონი ჟურნალისტის ტექსტში იკვეთება მთავრობის მიმართ (85%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ (1%).

ვებ-გვერდის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათაურები ძირითადად მიუკერძოებელი და ნეიტრალურია იშვიათი გამონაკლისების გარდა. ზოგჯერ სკანდალურობის და მაყურებლის მიზიდვის ნიშნები იკვეთება. მაგ: **”ქვები ტალახის ნაცვლად - კარალეთის 2012 წლის და ბოლნისის 2003 წლის პოლიტიკური "ქვათა ცვენა" (16 ივლისი), "მე ვარ სააკაშვილის ქალი" - ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი "ქართულ ოცნებასთან" შეხვედრაზე (6 აგვისტო), „ვინ ასწავლა "გაუმარჯოს" ყვირილი ზიძინა ივანიშვილს“ (19 აგვისტო)**

ვიზუალური მასალა, რომელიც ვებ-გვერდზე თავსდება, როგორც წესი ასახავს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის პრესკონფერენციას, ბრიფინგს, კომენტარს, განცხადებას. თუმცა არის ისეთი მასალებიც, სადაც კადრები უკომენტაროდაა მოცემული. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა საქმე კონკრეტული სახის დაპირისპირებასთან გვაქვს.

მაგალითად, ვიდეო მასალაში **”ქვები ტალახის ნაცვლად - კარალეთის 2012 წლის და ბოლნისის 2003 წლის პოლიტიკური "ქვათა ცვენა" (16 ივლისი)** ასახული „ქართული ოცნების“ წევრებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ფიზიკური დაპირისპირება კოალიციის სოფელ კარალეთში სტუმრობისას. კადრები უმეტესწილად უკომენტაროდაა მოცემული.


ზოგადად, მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ შეგვხვედრია მასალა, რომელზე შეიძლება ითქვას, რომ დაუბალანსებელია. თუმცა, მაინც გვხვდება ვიდეომასალები სადაც სასურველი იქნებოდა ბალანსის და მეორე მხარის პოზიციის დაფიქსირება ინფორმაციის მეტი დამაჯერებლობისათვის. მაგალითად: **ივანიშვილმა სამი თვის წინ იცოდა, რომ საბურთალოს ოლქში მაჟორიტარობას ვაპირებდი - ჯონდი ბალათურია (20 ივლისი);** ინფორმაციის მიღების შემდეგ ავტომატურად ჩნდება კითხვა მართლა იცოდა თუ არა ამის შესახებ ზიძინა ივანიშვილმა.

ვინაიდან ვებ-პორტალზე ძირითადად ინფორმაციული ტიპის მოკლე ვიდეომასალები იდება, რომლებშიც მინიმალურია ანალიზის/მიმოხილვის/შეფასების ხვედრითი წილი, უფრო ხშირად მათში შესაბამისობის პრობლემას არ ვაწყდებით. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში მაინც შეგვხვდა, რამდენიმე ვიდეო, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს არ ატარებს და ანაკლებ რელევანტური მასალაა. მაგ: „ვინ ასწავლა "გაუმარჯოს" ყვირილი ბიძინა ივანიშვილს“ (19 აგვისტო). ვიდეო სულ 58 წამიანია და მონაკვეთია კოალიცია „ქართული ოცნების“ აქციიდან სადაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ ის მანამდე არასწორად ყვიროდა „გაუმარჯოს“, სანამ ზვიად მიძიგურმა არ შეუსწორა.


ვებ-გვერდზე წარმოდგენილი მასალების აბსოლუტური უმრავლესობა ფაქტებზეა დაფუძნებული. არსად გვხვდება ეფექტებზე გათვლილი და დამონტაჟებული მასალა.

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა : მოცულობა 1




დიაგრამა: მოცულობა 2




დიაგრამა: მოცულობა 3

**internet.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 36 129 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 4

**liberali.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 8 816 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 5

**news.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 59 717 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 6

**presa.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 20 042 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 7






დიაგრამა: მოცულობა 8




დიაგრამა: მოცულობა 9

**tribuna.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 40 764 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 10

**for.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 73 703 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 11

**dfwatch.net-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა (სულ 15 343 სიტყვა)**




დიაგრამა: მოცულობა 12

**palitrav.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (სულ 2 სთ 24 წთ)**




დიაგრამა: ტონი 1

**netgazeti.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 1

**netgazeti.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 2

**droni.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 2


**droni.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ტონი 3




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 3




დიაგრამა: ტონი 4

**liberali.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 4


**liberali.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ჟურნალისტის ტონის მიხედვით (%)**



დიაგრამა: ტონი 5



დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 5




დიაგრამა: ტონი 6






დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 6



დიაგრამა: ტონი 7




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 7




დიაგრამა: ტონი 8

**tabula.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 8


**tabula.ge-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი ტექსტის მოცულობა უარნალისტის ტონის მიხედვით (%)**




დიაგრამა: ტონი 9




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 9




დიაგრამა: ტონი 10




დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 10




დიაგრამა: ტონი 11



დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 11



დიაგრამა: ტონი 12



დიაგრამა: ჟურნალისტის ტონი 12

